საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 11
ნოემბერი
2007

“ნათლობანა” არალში
ეპისკოპოსის სამწყსო მიმართვა
შეხვედრა მსოფლიო პატრიარქთან
კათოლიკური ოჯახი თელავში
მიცვალებულთა დღე

რედაქციის გვერდი

„ნათლობანას“ თამაში არალში

ერთი ფრიად სერიოზული ფაქტი კვლავინდებურად გვაიძულებს, რომ ვიფიქროთ და ვწეროთ ნათლისღების შესახებ; ერთ ორშაბათ დღეს არალში მცხოვრებმა მართლმადიდებელმა დიაკვანმა იოსებმა მოაწყო ექსკურსია ბოდბის ტაძარში, სადაც 6 ახალგაზრდა კათოლიკე ხელახლა გადანათლეს წმიდა ნინოს სამარხთან, ჩვეული მოტივით, რომ კათოლიკურ ნათლობას ძალა არა აქვს, ვინაიდან, როგორც აცხადებენ, არ იძლევა მირონცხებას და არც ნათლობის ფორმულაა ჭეშმარიტი. ამ თემასთან დაბრუნება სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა თემა ამოწურულია; სინამდვილეში გვსურდა იმ ფაქტით დაგვეწყო, რომელიც ეხებოდა ოთხმოცი წლის ქალბატონს, რომელსაც ქუთაისში პრეზიდენტის სტუმრობის დღეს, 21 სექტემბერს, დაცვის სამსახური ისე მოექცა როგორც დამნაშავეს, რადგან იგი პრეზიდენტისთვის წერილის გადაცემას ცდილობდა; ზემოხსენებული ფაქტით კი იმიტომ დავიწყეთ, რომ გადანათვლის პრაქტიკა უკვე გადაიქცა საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიის განადგურების ფორმად, მეტადრე სამცხე-ჯავახეთში, და ამას არა შეფარულად, არამედ ხმამაღლა აცხადებდნენ.

კათოლიკე ეკლესიაში აღსრულებულ ნათლობას ძალა არ გააჩნია, ეს ჯერ კიდევ საჩვენებელია და ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამგვარი უაზრობის მღაღადებელმა არაფერი უწყის ამ საიდუმლოს აღსრულებაზე და იმ რწმენაზე, რითაც იგი აღესრულება, როგორც კათოლიკე, ასევე მართლმადიდებელ ეკლესიაში; დიახ, ბევრი მართლმადიდებელი ეკლესია არ ახდენს კათოლიკე მორწმუნეების გადანათვლას; ჩვენი მხრიდან, გაცილებით დიდ პრობლემად შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ის ფორმა, რითაც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ასრულებენ ნათლობის საიდუმლოს. ერთ პატარა მაგალითს მოვიყვანთ: ოქტომბრის დღეებში მოსწავლეთა ერთი ჯგუფი მცხეთის ეკლესიას სტუმრობდა; ამ ვიზიტის დროს, მღვდელმა მოულოდნელად ბავშვებს ჰკითხა იყვნენ თუ არა მონათლულები; აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი არ იყო მონათლული და მასწავლებლებთან და თანატოლებთან საუბრის შემდეგ, აირჩიეს ნათლია, შეიძინეს სანთლები, წაიყვანეს ნათლობის წყაროსთან და მონათლეს; სახლიდან მშობლების ნებართვით ექსკურსიის მიზნით წამოიყვანეს, სახლში კი მონათლულები დააბრუნეს, ისე რომ მათ მშობლებს არც ჰკითხეს; გარე თვალისთვის ეს ყველაფერი თამაშს ჰგავდა, უფრო კი კომედიას. ნუთუ ეს არის ადამიანის გაქრისტიანების ან ნათლობის აღსრულების გზა? ამას გულისხმობდა

იესო, როდესაც თავისი მოწაფეები წარგზავნა ყველა ხალხში სახარების საუწყებლად და მათ მოსანათლად მამის, ძისა და სული წმიდის სახელით? შეიძლება ზოგიერთმა მართლმადიდებელმა მღვდელმა უფლის ამ დანაბარებშიც შეიტანოს კორექტივა, რადგან აქ არაფერია ნათქვამი მირონცხებაზე და არც ის არის ნათელი, როგორ გავიგოთ ძესა და სული წმიდას შორის კავშირი, იქნებ ისიც დაასკვნან, რომ მოციქულთა მიერ შესრულებული ნათლობა ძალადაკარგული იყო! გავიხსენოთ წმიდა პეტრეს სიტყვები: *„იგი ხორციელი ჭუჭყის ჩამორეცხვა კი არ არის“,* და აქ შეგვიძლია ამ სიტყვებით გავაგრძელოთ, რომ ეს არც მოდაა, არც თამაში, არც შელოცვა თუ ნაციონალისტური დასტურის ნიშანი... როგორც აქაური პრაქტიკიდან ჩანს *„არამედ კეთილი სინდისის ღვთისათვის შეპირება, იესო ქრისტეს აღდგომით“* (1 პეტ. 3, 21).

წმიდა საყდრის ნუნციუსმა, კლავდიო გუჯეროტმა, სინოდის საზეიმო დასკვნით წირვაზე 2006 წლის 16 დეკემბერს განაცხადა: „საკუთარი ნათლობის ღალატი ნიშნავს უღალატო იესოს, როგორც იუდამ“. ალბათ, მკაცრ ტონად გაისმის, მაგრამ გადანათვლა სწორედ ღალატის ტოლფასი ჟესტია როგორც მიმღების, ასევე შემსრულებლისთვის.

მაშ, როგორ მოვიქცეთ?

რასაკვირველია, უკვე დროა, რომ ჩვენ, ყოველმა კათოლიკემ, კათოლიკურმა ოჯახებმა და კათოლიკურმა საკრებულოებმა პასუხისმგებლობა ავიღოთ. მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ როგორ ხდება ნათლობისათვის მომზადება და მისი აღსრულება ჩვენს ეკლესიებში; მახსოვს, სინოდზე გამოიკვეთა სირთულე იმ მხრივ, რომ ზოგი ვერ იგებდა წმიდა საიდუმლოებების მისაღებად სერიოზული მომზადების მნიშვნელობას, მათ შორის ნათლობის, და ემხრობოდნენ იმ აზრს, რომ თუ მორწმუნეების დაკარგვა არ გვსურს, სწრაფად უნდა მოხდეს მონათვლა. სამწუხაროა, რომ თვით კათოლიკეებს ვერ გაუგიათ ამ საიდუმლოს აღსრულების მშვენიერება და მომზადების მნიშვნელობა. ზოგ შემთხვევაში, ნათლობა რომ შესრულდეს, წლობით ელოდებიან ნათლიის ჩამოსვლას, ზოგჯერ კი იმ პერიოდის დაცვა უჭირთ, რასაც ეკლესია ითხოვს მოსამზადებლად; ზოგჯერ ფულს ელოდებიან საზეიმო სუფრის გასაშლელად და მეჩვენება, რომ ეს ნათლობაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია. ასეც ხდება, როცა ოჯახის წევრი გარდაიცვლება და სახლში ვინმე მოუნათლავია, საჩქაროდ უნდა მოინათლოს; თითქოსდა რწმენა, რომელიც „ქრისტეს, ჩვენთვის მკვდარს“ აცხადებს, ამ ფაქტის მოხდენამდე არ მოუწოდებდა მათ ნათლობის აუცილებლობაზე უფლის სიკვდილსა და აღდგომაში შესაერთებლად! საკმარისია, ბავშვი ავად გახდეს და მაშინვე თავს იჩენს მონათვლის აუცილებლობა იმ მიზეზით, რომ ბავშვი გამოჯანმრთელდეს... მაინც რა სახე მიიღო ნათლობამ?

იქნებ აჯობებს ხელში ავიღოთ ბიბლია, წავიკითხოთ და დავფიქრდეთ იმაზე, თუ გვინდა ნათლობის ჭეშმარიტი არსი გავიგოთ; იქნებ აჯობებს შევისწავლოთ ეკლესიის ტრადიცია და მის კანონებს დავემორჩილოთ, ვიდრე გავრცელებულ ხალხურ თუ ეროვნულ ადათებს; იქნებ საჭიროა ვიკითხოთ, როგორ ურთიერთობაში ვართ ჩვენი ქრისტიანული რწმენით რომის კათოლიკე ეკლესიასთან, როგორც პირადი, ასევე ოჯახური და საკრებულოს მხრიდან? აი ეს არის *ფორმაციული გაბედულება*, როგორც ჩვენს სინოდზე ითქვა. თუკი კათოლიკე ოჯახებში ისევ მთავარია სკოლა, ფეხბურთი, სამუშაო, ვიდრე ქრისტიანული ფორმაცია, ცხადია გაგვიჭირდება ქრისტიანულად ცხოვრება, საკუთარი ეკლესიის ერთგულება; შევძლებთ ამის გაგებას?

მათ გასაგონად, ვინც ხელახლა ნათლავს, საინტერესო იქნებოდა გადაეკითხა წმიდა პავლეს წერილები და სიტყვა „წინადაცვეთა“ შეეცვალა „ნათლობით,” და მაშინვე მიხვდება, რომ ისინი ნამდვილად *ქრისტეს ჯვრის*

მტრებად ექცევიან *(ფილ. 3,18)* მათ, ვისაც ხელმეორედ ნათლავენ. წმიდა პავლე დავის დროს გალატელთა წერილში წინადაცვეთის შესახებ წერს: „მოიქეცით სულიერად და არ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს“ *(5,16).*

ეკლესიებისთვის გადანათვლა ნამდვილი სკანდალია, რომელიც მთელ რიგ ღონისძიებებს ითხოვს; ცხადზე უცხადესია, რომ ეს არ არის სამოციქულო ეკლესიების ან იმათი ტრადიცია, ვინც მის ერთგულებას ცდილობს; თუკი გადანათვლა მიანიშნებს იმას, რომ ერთი ეკლესია არ მიიჩნევს მეორეს ჭეშმარიტად, მაშინ ეკლესიამ, რომელიც გადანათვლას ახდენს, სასწრაფოდ უნდა გასცეს პასუხი, რა უფლებით აკეთებს ამას ან რომელი ტრადიციით რთავს ამის გაკეთების ნებას ზოგიერთ თავის მოძღვარს? ყოვლად აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ამ საკითხზე სასაუბროდ საქართველოში ერთმანეთს შეხვდნენ კათოლიკე ეკლესიისა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები, რათა ერთმანეთის გასანადგურებლად არ ისწრაფვონ.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

ნეაპოლში კათოლიკეებმა მოსკოვის საპატრიარქოს გადასცეს ტაძარი

მოსკოვი, რუსეთი – 24 ოქტომბერი, ინტერფაქსი. ნეაპოლის კათოლიკურმა ეპარქიამ მოსკოვის საპატრიარქოს სამრევლოს უსასყიდლო სარგებლობაში ტაძარი გადასცა. ნეაპოლის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა კრეშენციო სეპემ, ტაძრის გასაღები საზეიმო ვითარებაში გადასცა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელს, სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტ კირილეს.

კარდინალმა აღნიშნა, რომ დახმარების ეს ჟესტი რუსეთის ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ, რომლებიც ნეაპოლში ცხოვრობენ და თავისი ტაძარი არ აქვთ, მიმართულია კეთილ ურთიერთობათა განვითარებისა და დიალოგისკენ ორ ეკლესიას შორის, – იტყობინება მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალური საიტი.

მიტროპოლიტმა კირილემ მადლობა გადაუხადა კარდინალს ტაძრისათვის, რომელშიც ამიერიდან მართლმადიდებლური ღმრთისმსახურება აღევლინება და აღნიშნა, რომ ძმური სიყვარული და ურთიერთდახმარება უნდა იყოს დიალოგის საფუძველი ორ ეკლესიას შორის, რომლებიც ისწრაფიან თანამშრომლობისა და ურთიერთქმედებისკენ თანამედროვეობის მრავალრიცხოვან გამოწვევათა წინაშე. მან ასევე გამოხატა მადლიერება ცნობილი კათოლიკური მშვიდობისმყოფელი და საქველმოქმედო ორგანიზაციის “წმიდა ეგიდიუსის სამრევლოს” ხელმძღვანელობის მიმართ ტაძრის გადმოცემის ხელშეწყობისათვის.

წმიდა მარიამის ნეტარი მიძინების ტაძარი, რომელიც რუსეთის ეკლესიას გადაეცა, ნეაპოლის ცენტრში მდებარეობს. სამრევლოს ძირითად ნაწილს წარმოადგენენ ემიგრანტები რუსეთიდან, უკრაინიდან და დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან.

კარდინალ სეპეს მშობლიურ ქალაქ ავერსაში, რომელიც ნეაპოლის ახლოს მდებარეობს, მიტროპოლიტი კირილე ადგილობრივი კათოლიკური ეპარქიის ღმრთისმსახურებსა და საერო პირებს შეხვდა. შეხვედრა გაიმართა ქალაქის საკათედრო ტაძარში, სადაც მრავალმა მორწმუნემ მოიყარა თავი. რუს მიტროპოლიტს ავერსის მთავარეპისკოპოსი მარიო მილანო მიესალმა. შეხვედრისას მიტროპოლიტმა კირილემ ხაზი გაუსვა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიისა და რომის კათოლიკე ეკლესიის ურთიერთობათა განვითარების დინამიკურ ხასიათს, რაც, მისი თქმით, გამოწვეულია ორი

ეკლესიის პოზიციათა თანხვედრით იმ მრავალ საკითხში, რომელთაც აყენებს ქრისტიანთა წინაშე თანამედროვე სამყარო, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საკითხში.

თარგმნა **რუსუდან ავალიშვილმა**

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

სამწყსო მიმართვა

საქართველოს ყველა კათოლიკეს

„აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა, მოსატევებლად ცოდვათა“
ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსი

ნათლისღება ერთადერთია და ხელმეორედ ნათლობა უმძიმესი ცოდვა და უაზრობაა.

– ესაა ცოდვა ქრისტეს წინააღმდეგ, რამეთუ ეკლესია მუდამ აღიარებდა, რომ როდესაც ადამიანი ნათლავს, ნათლავს ქრისტე;

– ესაა ცოდვა სული წმიდის წინააღმდეგ, რომელიც მოქმედებს ნათლობისას და გარდამოდის მორწმუნეთა გულებში;

– ესაა ცოდვა ეკლესიის წინააღმდეგ; სიცრუეა იმის თქმა, თითქოს ადგილობრივი ეკლესიის ნათლობა აქცევს ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ ამ ეკლესიის წევრად.

ნათლისღებამ, აღსრულებულმა წყლით და სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, შენ

– გაქცია ღმრთის შვილად;

– მოგანიჭა წმიდა სამება, რომელიც მკვიდრობს შენში სულიწმიდის მიერ;

– გაგათავისუფლა პირველქმნილი ცოდვისა და ყველა შენი პირადი ნათლობამდელი ცოდვისაგან;

– მოგცა საუკუნო სიცოცხლეში შესვლის შესაძლებლობა;

– მოგანიჭა ყველა სხვა საიდუმლოს მიღების უნარი, შესაბამისი მომზადებით;

– გაქცია ერთადერთი საყოველთაო (წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო) ეკლესიის წევრად.

თუ შენ გადაინათლები საყოველთაო რწმენის უვიცი პირის ხელით, შენ უარყოფ ერთადერთი ნათლისღების მადლს.

კათოლიკე ეკლესიის ნათლობას ცნობს, ყველა მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე, როგორც კათოლიკე ეკლესია ცნობს მათ ნათლობას. კერძოდ კი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები, რომლებთანაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს სრული თანაზიარება რწმენაში. ოფიციალური დადგენილებით არ ნათლავენ ხელმეორედ იმ კათოლიკეს, რომელიც მოისურვებს მართლმადიდებელ ეკლესიაში გადასვლას.

ვინც კათოლიკე ეკლესიაში მონათლულს მოტყუებით ხელახლა მონათლავს, მიდის მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენის წინააღმდეგ, არ ემორჩილება საკუთარი ეკლესიის კანონებს და თავის სულს საუკუნო წარწყმედის საშიშროების წინაშე აყენებს, გაუთვითცნობიერებელი ადამიანი კი შეჰყავს ისეთ შეცდომაში, რომლითაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ცხონებასაც.

მაშინაც კი, როდესაც არა ანგარების, დაშინების ან ყალბად გაგებული ეროვნულობისათვის, ქრისტიანი გადაწყვეტს სხვა ეკლესიაში გადასვლას,

ვალდებულია მხოლოდ დაადასტუროს თავისი ერთადერთი ნათლისღების რწმენა მრწამსის სახალხო აღიარებით და არა მოინათლოს ხელახლა. ვინც სხვაგვარად იქცევა, ან მოითხოვს სხვაგვარად მოქცევას, ის ეწინააღმდეგება ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტ გადმოცემას.

შენ, კათოლიკევ, შეგიძლია გეამაყებოდეს, რომ ეკუთვნი ქრისტეს ერთადერთ ეკლესიას, რომლის მწყემსმთავარია პეტრე და პავლე მოციქულთა მემკვიდრე, რომის პაპი. შენ თანაზიარებაში ხარ მსოფლიოს ყველა ადგილობრივ ეკლესიასთან. ნუ შეგაშინებს იმათი სიტყვები, რომლებსაც ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან რწმენა, ფანატიზმი და ნაციონალიზმი.

ქართველ კათოლიკეს სრული უფლება აქვს ეამაყებოდეს ის რწმენა, რომელსაც აღიარებდა მისი სამშობლოს მრავალი ღირსეული შვილი, რომის ერთგული ქართველი კათოლიკენი.

დაგლოცავთ,

სახელითა **მ**ამისათა და **ძ**ისათა და **ს**ულისა **წ**მიდისათა.

თბილისი
მაცხოვრის შობიდან 2007 წლის 18 ოქტომბერი,
წმ. ლუკა მახარებლის დღესასწაული

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო
ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი

შეხვედრა მსოფლიო პატრიარქთან

კვირა დღეს, 14 ოქტომბერს, 19 საათზე ჩვენს მცირერიცხოვან დელეგაციას, რომელსაც მეუფე ჯუზეპე პაზოტო მეთაურობდა, პატივი ჰქონდა შეხვედროდა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქს, ბართლომე I-ს, რომელიც ესტუმრა ჩვენს ქვეყანას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის აღსაყდრების 30 წლისთავთან დაკავშირებით. შეხვედრას საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მხრიდან ვესწრებოდით: საქართველოში კონფესიებს შორის დიალოგზე პასუხისმგებელი, საეპისკოპოსო ვიკარიუსი, მამა გაბრიელე ბრაგანტინი; საეპისკოპოსო ვიკარიუსი ეკლესიის საქველმოქმედო საკითხებში მამა ნინო მარტინი; სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიისა და კულტურის ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვაჟა ვარდიძე და მე – მამა პიერ დიუმულენი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიისა და კულტურის ინსტიტუტის რექტორი. ჩვენი შეხვედრა მიმდინარეობდა სასტუმრო “მერიოტში,” იმ ოთახში, სადაც რამდენიმე წლის წინ სტუმრობდა ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

პატრიარქი თითქმის ერთი საათის განმავლობაში გვესაუბრებოდა, მისთვის ჩვეული კეთილგანწყობითა და უბრალოებით. ჩვენ უაღრესად მადლიერნი ვართ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა პირადად შევხვედროდეთ მას. ჩვენ საუბარს თან სდევდა ღრმა ურთიერთგაგება და სულიერი თანაზიარება, რამაც განსაკუთრებულად თბილი ატმოსფერო შექმნა. პატრიარქი დაინტერესდა იმ პრობლემებით, რაც არსებობს საქართველოში კათოლიკე ეკლესიისა და სხვა კონფესიების ირგვლივ. ჩვენს შეკითხვებზე იგი პასუხობდა იმ პირის პოზიციიდან, რომელიც იმყოფება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც არ ვრცელდება მისი იურისდიქცია.

ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ პატრიარქს რამდენიმე შეკითხვა დაუსვა, რომლებიც უკავშირდებოდა მართლმადიდებელ მღვდელთა მხრიდან ხელმეორედ ნათლობის მოთხოვნას, კერძოდ, სხვადასხვა აღმსარებლობის პირთა ქორწინების შემთხვევაში. პატრიარქმა გვიპასუხა, რომ მას არ ძალუძს ავტოკეფალური ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევა, მაგრამ გაიხსენა, რომ რამდენიმე წლის წინ ბიზანტიური ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით მსოფლიოს ყველა მღვდლისთვის, განურჩევლად კონფესიისა, მის მიერ გაგზავნილი იქნა ოფიციალური წერილი. ამ წერილში მან გამოხატა მტკიცე პოზიცია და აღიარა ნებისმიერ ქრისტიანულ კონფესიაში წმიდა სამების სახელით აღსრულებული ნათლობის საიდუმლოების ჭეშმარიტება. იმ ქრისტიან მორწმუნეთათვის, რომელთაც სხვა კონფესიაში გადასვლის სურვილი გააჩნიათ, ხელმეორედ ნათლობას იგი დაუშვებლად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში საკმარისია მათი სურვილი დადასტურდეს სათანადო დოკუმენტის პირადი ხელმოწერით. თუ მორწმუნეს არა აქვს მიღებული მირონცხება, აუცილებელია ამ წესის აღსრულება. შემდგომ პატრიარქმა ნაღვლიანად დასძინა: "სამწუხაროდ, ფანატიზმი ყველგანაა გავრცელებული!" მსოფლიო პატრიარქმა ასევე აღნიშნა, რომ აღიარებს და მიიჩნევს ჭეშმარიტად კათოლიკე ეკლესიაში აღსრულებულ ყველა საიდუმლოებას, განსაკუთრებით კი ხაზი გაუსვა ეპისკოპოსთა და მღვდელთა ხელდასხმის საიდუმლოებას. თავისი სიტყვების დასადასტურებლად მსოფლიო პატრიარქმა მეუფე ჯუზეპე პაზოტოს უბოძა საეპისკოპოსო ჯვარი სახელობითი ბეჭდით. გარდა ამისა, მან საჩუქრად გადმოგვცა ჩანაწერი, სადაც აღბეჭდილია პაპი იოანე პავლე II-ის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და წმ. იოანე ოქროპირის წმიდა ნაწილების გადაცემის ცერემონია და, აგრეთვე, თავისი გამოსვლის ტექსტი, რომელიც ეძღვნებოდა პაპ იოანე პავლე II-ის მსახურების 25 წლისთავს. ის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით საუბრობდა პაპის შესახებ, შემდეგ კი მტკიცედ განაცხადა, რომ ძალას არ დაიშურებს ეკლესიის ერთობისთვის, თუმცა ეს უდიდეს შრომასა და მოთმინებას მოითხოვს. განხეთქილების 950 წლის დაძლევა იოლი როდია. პატრიარქმა გამოთქვა დიდი იმედი, რომ მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის რავენაში მიმდინარე თეოლოგიური დიალოგი, რომელსაც კარდინალი კასპერი ხელმძღვანელობს, რეალურ შედეგს მოიტანს.

შეხვედრის ბოლოს პატრიარქმა თავისი ხელით ყავა მოგვართვა. ჩვენთვის ეს იყო ნიშანი ჭეშმარიტი მორჩილებისა. მან ლათინურ ენაზე ჩაიჩურჩულა: "Servus servorum Dei." შეხვედრის დროს პატრიარქი იტალიურად გვესაუბრებოდა, შემდეგ ფრანგულ ენაზე მომმართა: "მადლობას გიხდით იმ სიკეთისა და სითბოსთვის, რომელიც დღეს თქვენი სტუმრობით მომანიჭეთ." დამშვიდობებისას ყველა დაგვლოცა, ამჯერად უკვე ბერძნულ ენაზე. ასეთი წუთები მთელი ცხოვრების მანძილზე დაუვიწყარი რჩება.

პიერ დიუმულენი

ზეიმი ახალციხის საკრებულოში

ყოველი საკვირაო წირვა ხომ საზეიმოა, მაგრამ 16 სექტემბერს ახალციხის საკრებულოში განსაკუთრებული ზეიმი იყო. იმ დღეს ჯვრისწერის საიდუმლოთი სამუდამოდ განამტკიცეს თავიანთი ქორწინება როინ და ლიმენა ქომოშვილებმა, ხოლო მათი პატარა ქალიშვილი, მარიამი მოინათლა სული წმიდის ძალით.

ნათლობისა და ჯვრისწერის ლიტურგია მამა ზურაბ კაკაჩიშვილმა აღასრულა წმიდა წირვის დროს. ეს იყო ლამაზი და ამაღელვებელი რიტუალი,

მრევლის ყველა წევრი ამ ლამაზ ოჯახთან ერთად ზეიმობდა ქრისტიანისათვის, ესოდენ აუცილებელი და მნიშვნელოვანი საიდუმლოს აღსრულებას, ქრისტიანთა საკრებულოსათვის ახალი წევრის მიმატებას.

რიტუალის დასასრულს, მამა ზურაბმა ყველა იქ მყოფს მოუწოდა, ვისაც რომელიმე საეკლესიო საიდუმლო არ ჰქონდა მიღებული, თავადაც ზიარებოდნენ მათ, რათა ამით უფრო მიახლოებოდნენ უფალს. ასევე, გადაეცათ ეს უწყება სხვა კათოლიკეებისთვის – ახლო მეზობლების, ნათესავებისა და მეგობრებისთვის.

მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო ჩვენი გულისტკივილი იმის გამო, რომ წმ. წირვა და საეკლესიო საიდუმლოებები აღსრულდა სამლოცველო სახლში და არა ეკლესიის შენობაში, სადაც ყველაფერს სულ სხვა ელფერი ექნებოდა. იმედია, ჩვენს ლოცვას შეისმენს უფალი და იმ დღესაც მოვესწრებით, როდესაც საკუთარ ეკლესიაში მოვისმენთ ღმრთის სიტყვას.

ვსარგებლობ შემთხვევით და „საბას“ მეშვეობით ვულოცავ ქომოშვილების ოჯახს ამ მნიშვნელოვან მოვლენას.

ელზა ზუბაშვილი
ახალციხე

დიახ, მსურს!

„ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სული წმიდის სახელით, ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აჰა, მე თქვენთანა ვარ დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე. ამინ!“ (მათ. 28, 19-20). ღმრთის მადლითა და ჩვენი ეპისკოპოსის, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს უდიდესი დახმარებით, 2003 წლიდან საქართველოში ფუნქციონირებს ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სასულიერო სემინარია – „ქრისტეს მოციქულები“. მისი ისტორია არცთუ ხანგრძლივია, თუმცა ოთხი წელიწადი მაინც რაღაცას ნიშნავს...

სადღეისოდ სემინარიაში სწავლობენ ის ახალგაზრდები, რომლებმაც გადაწყვიტეს, უპასუხონ ღმრთის მოწოდებას ამ სიტყვებით: „დიახ, მსურს!“

ეს ახალგაზრდები არიან შოთა გიქოშვილი, ედუარდ გოგილაშვილი, დიაკონი მიხეილ სურმავა, პაატა ქომოშვილი და იოსებ ტარზიანი. ამჟამად სემიანარიას ხელმძღვანელობს მამა პიერ დიუმულენი. იგი ამ თანამდებობაზე დაინიშნა 2007 წლის ოქტომბერში. მან თავისი გულითადი და თავდაუზოგავი შრომით დაიწყო სემინარისტების ფორმაცია სხვადასხვა საკითხებში. ამ მისიაში მას დიდ დახმარებას უწევს მიხეილ სურმავა.

ხშირად მახსენდება მამა პიერის სიტყვები: „თქვენი მოწოდება არ უნდა იყოს, გახდე სემინარისტი, არამედ უნდა გქონდეთ მღვდლობისაკენ მოწოდება“, თუმცა სემინარია წინაპირობაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაიარო, რომ გახდე მღვდელი.

პასუხი ღმრთის მოწოდებაზე ხომ რწმენის აუცილებელი პირობაა! იმედს ვიტოვებთ, რომ კიდევ ბევრი ახალგაზრდა უპასუხებს ღმრთის მოწოდებას ამ მიწაზე. ვთხოვთ ყოველ ადამიანს, ილოცონ იმისათვის, რათა ბევრი ადგილობრივი ღმრთისმსახური იყოს საქართველოში. მღვდლობა არ არის კარიერა, მღვდლობა მსახურებაა.

ცხოვრობს თელავში ერთი ოჯახი...

პირველად ამ სამიოდე წლის წინ მოვხვდი მათთან. მანქანა ერთ დიდ სახლთან გაჩერდა. იქედან გადმოსვლა ვერც კი მოვასწარით, რომ სახლის კარებში მომლოდინე და მომღიმარი წყვილი გამოჩნდა. სახლი გაჩახჩახებული

იყო, ჩანდა, რომ გველოდნენ... მეუღლეები ისე თბილები და უშუალოები იყვნენ, რომ მეც მთელ სხეულში სასიამოვნო სითბომ დამიარა.

მაგრამ სიცილი და მხიარული საუბარი უცბად შეწყდა. ყველა დიდი მოკრძალებით გავემართეთ სამლოცველო ოთახისაკენ, სადაც ყველა იყრიდა მუხლს და ისე შედიოდა. იქ შესვლისთანავე რაღაც განსაკუთრებული გრძნობა დამეუფლა, თითქოს სადღაც ახლოს ცოცხალი ღმერთი მეგულებოდა. მოუთმენლად ველოდი რა მოხდებოდა, რა ენაზე ჩატარდებოდა წირვა...

მღვდელსა და მასპინძელს შორის მცირე „მოლაპარაკების“ შემდეგ, სანთლები აანთეს და წირვა დაიწყო, რომელსაც „ანგელოზებიც“ ესწრებოდნენ, მასპინძლების ორი პატარა გოგონას სახით. იმ დღეს მამა ადამი წირავდა და წირვაც ფრანგულ ენაზე აღევლინა. ლოდი და ბენუა ისე შეხმატკბილებულნი გალობდნენ ორ ხმაში ფსალმუნებსა და საგალობლებს ფრანგულ ენაზე (გიტარაზე ბენუას აკომპანიმენტის თანხლებით), რომ ჩვენი დაღლილობა მთლად გაქრა.

წირვა ისეთი მადლიანი და ლამაზი იყო, რომ დამთავრებისას გული დამწყდა. ჩემი თავი წარმოვიდგინე ერთ დიდებულ, პატარა ეკლესიაში და იქედან გამოსვლა აღარ მინდოდა. თავში მხოლოდ ერთი კითხვა მიტრიალებდა – საიდან ასეთი რწმენა?!...

ბენუა და ლოდი ფილები საქართველოში 2000 წლის 12 ივლისიდან ცხოვრობენ. ისინი ფრანგები არიან. ბენუა მარსელიდანაა, ლოდი კი – ტულუზიდან. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბენუა არჩევანის წინაშე დადგა ან სავალდებულო სამხედრო სამსახურში უნდა წასულიყო, ან მუშაობა დაეწყო. იგი მეღვინეა და მუშაობა დაიწყო კომპანია „ფენნორიკარ“-ში. ამ კომპანიის შვილობილ კომპანია „ჯივიესს“ ფილიალები ჰქონდა საქართველოსა და სომხეთში. როდესაც ბენუას არჩევანის გაკეთება შესთავაზეს, მან საქართველო აირჩია, ცოლიც თან წამოიყვანა და აგერ უკვე რვა წელია ისინი თელავში ცხოვრობენ. ორივემ საკმაოდ კარგად შეისწავლა ქართული ენა და თავს მშვენივრად გრძნობენ. ბენუა თელავის საწარმოს ხელმძღვანელია და, თუ პრესას დავეყრდნობით, საკმაოდ წარმატებული მეწარმეა.

მისი წარმოება 20-მდე დასახელების პროდუქციას უშვებს და საკმაოდ პრესტიჟულსაც. მაგრამ წყვილი ღვინოზე უფრო ღმერთს დაუახლოვდა. რწმენა ორთავეს ოჯახებიდან გამოჰყვათ.

როგორც ცნობილია, ყოველი კვირის ხუთშაბათ დღეს წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის მღვდლები მიემგზავრებიან კახეთის კათოლიკურ სოფლებში წირვის ჩასატარებლად. და აი, ფრანგი მორწმუნეების თხოვნით და ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს თანხმობით, თვეში ერთხელ მათ სახლშიც ტარდება წმ. წირვა. თვეში ერთხელ თუ ორჯერ თავად ჩამოდიან წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიაში წირვაზე დასასწრებად და, ასევე, თვეში ერთხელ თბილისში, დიუმას ცენტრში ესწრებიან ბენუას აკომპანიმენტით ფრანგულ ენაზე აღვლენილ წირვას.

ფილებს ამჟამად სამი შვილი ჰყავთ: ორი გოგონა და ერთი ვაჟი, მეოთხეს ახლა ელოდებიან (არ იციან, ვინ იქნება). მიუხედავად იმისა, რომ მათთან ჩვენ თვეში ერთხელ ჩავდივართ და ჩვენს სტუმრობებს შორის დიდი ინტერვალია, პატარა გოგონებს არ ვავიწყდებით და მოუთმენლად გველოდებიან. წირვის დროს კი მათთვის განკუთვნილ პატარა სკამებზე სხედან და სულგანაბულნი ისმენენ ღმრთის სიტყვას. წირვის დასრულების შემდეგ, სული წმიდით აღვსილებს ყოველთვის გვეპატიჟებიან სატრაპეზო სუფრაზე. ლოდი შესანიშნავი დიასახლისი და მზარეულია (არც ბენუაა ნაკლები).

არავის არსად არ მიეჩქარება და იმართება გულღია საუბრები შუაღამემდე, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ეს საუბრები ექვს ენაზე ჟღერს. ღმერთმა უმრავლოს კათოლიკეებს ასეთი ქრისტიანული ოჯახები.

ნადია ჩიტაძე

გისურვებთ წარმატებულ სასწავლო წელს

2007-2008 წლის ლიტურგიული წლის დასაწყისი თბილისის წმ. პეტრესა წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაში დაემთხვა 7 ოქტომბერს. ეს დღე კი მარიამ ღმრთისმშობლის წმიდა სავარდის დღეა. ბავშვებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს მონაწილეობა სავარდის ლოცვასა და თაყვანისცემაში, შემდეგ კი მამა ადამმა აკურთხა მათი სასკოლო ნივთები, რომლებიც თითოეულ ბავშვს თან მოეტანა და უსურვა კარგი სწავლა.

კატეხისტური ჯგუფები უკვე დაკომლექტებული იყო, ასევე, ყველა ჯგუფისთვის გამოიყო კატეხისტიც. იგრძნობოდა, რომ ბავშვები, საზაფხულო არდადეგების შემდეგ, მოუთმენლად ელოდნენ კატეხიზაციის დაწყებას.

კატეხიზაციური წლის დაწყებას წინ უსწრებდა 29 სექტემბერს წეროვანში გამართული კატეხისტების შეკრება, რომელიც ძალიან საქმიანი და ნაყოფიერი გამოდგა. ეს შეხვედრა კატეხისტებს დაეხმარა, შეემუშავებინათ თავიანთი წლიური პროგრამები, დაეხვეწათ და უფრო გასაგები გაეხადათ ისინი. ამისათვის კატეხისტებს დიდი შრომა დასჭირდათ, მაგრამ მათი ღვაწლი უთუოდ დაფასდება, თუ ახალ კატეხისტურ წელს ბავშვები გულისყურითა და მონდომებით შეუდგებიან სწავლას. კატეხისტებს კი სულ მოკლე ხანში საზეიმოდ გადაეცემათ კატეხისტის მანდატები.

თუმცა წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულების ეკლესიაში ბავშვების ნაკლებობა არ იგრძნობა, მაინც სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით არ ჩანან ახალი ბავშვები (განსაკუთრებით ეს ეხება 4 წლისა და მეტი ასაკის ბავშვებს).

იმედი გვაქვს, რომ წმ. მარიამ ღმრთისმშობელი ჩვენი მრევლის ყველა ბავშვს გაუწევს მფარველობას და მათი შემწე იქნება გაჭირვების ჟამს.

ვიოლეტა ოსიპოვა

დღესასწაული უნწის საკრებულოში

2007 წლის 18 სექტემბერს ადიგენის რაიონის სოფელ უნწის სამლოცველო სახლში საზეიმო განწყობა და დიდი ფუსფუსი იგრძნობოდა. დღეს უნწის საკრებულო თავისი სამოცველო სახლის დღესასწაულს აღნიშნავდა.

ჩვენს სამლოცველოს მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი ისტორია აქვს: 2006 წლის მაისში მამა იეჟი შიმეროვსკის დიდი დამსახურებითა და ძალისხმევით გაიხსნა კათოლიკური სამლოცველო. მას შემდეგ ყოველ სამშაბათს აქ მორწმუნეები ისმენენ ღმრთის სიტყვას, ხოლო ყოველი თვის ბოლო სამშაბათს აღევლინება წმ. წირვა. ყოველ კვირა დღეს სამლოცველოში, ღმრთის სიტყვის მოსასმენად იკრიბება მორწმუნე მრევლი. ასევე, ტარდება კატეხეზები ბავშვებისა და უფროსებისათვის.

მაისის თვეში, ყოველ საღამოს ვიკრიბებით ყოვლაწმიდა ღმრთისმშობლის ლიტანიის საგალობლად. ივნისის თვეში კი – იესოს უწმიდესი გულის ლიტანიებს ვგალობთ. ოქტომბრის თვე სავარდის ლოცვას ეძღვნება და ჩვენც ყოველ საღამოს ერთად წარმოვთქვამთ იესოსა და მისი უწმიდესი დედის ცხოვრებათა საიდუმლოებებს. მამა იეჟი ძალღონეს არ იშურებს, რომ ქრისტიანებს ღმრთის სიტყვა არ მოგვაკლდეს.

2006 წლის აგვისტოში ჩვენს საკრებულოს ეწვია ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, რომელმაც ჯვართამაღლების სახელზე აკურთხა სამლოცველო.

ჯვართამაღლებას კათოლიკური სამყარო დიდი ზეიმით აღნიშნავს 14 სექტემბერს, ამიტომ უნწის მრევლი მოუთმენლად ველოდით ამ დღის დადგომას.

სოფელში, კერძოდ კი სამლოცველოს მახლობლად, ხალხმრავლობა იყო. საკრებულოს წევრები მღელვარებით ველოდით სტუმრების გამოჩენას. ყველანი ვღელავდით, სტუმრებიც მალე მობრძანდნენ: მამა ანდრეი გრაჩეკი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი, მამა ვლადიმირ აქსენტიევი, სომხური წესის მღვდელი, მამა პოღოსი, დიაკვანი მიქაელი. აგრეთვე სემინარისტები: პაატა ქომოშვილი, შოთა გიქოშვილი და იოსებ ტარზიანი.

სამლოცველოში შემოაბრძანეს ეპისკოპოსის მიერ საჩუქრად გამოგზავნილი დიდი ჯვარცმა. ჩვენს დღესასწაულს სამხრეთ საქართველოს კათოლიკური საკრებულოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. წმიდა წირვას მამა ანდრეი უძღვებოდა. მან გულში ჩამწვდომი ქადაგება წარმოთქვა. აგვიხსნა, თუ რა ძალა აქვს ჯვარს და როგორი სიყვარულით უნდა მივიღოთ ეს ძღვენი. რომ თითოეულმა საკუთარი თავი უნდა წარმოვიდგინოთ ჯვარზე და ვიცხოვროთ ქრისტეს სიყვარულში.

წირვის შემდეგ, ბავშვებმა რელიგიური ხასიათის ლექსები წაგვიკითხეს და ამით უფრო გაამშვენიერეს ჩვენი დღესასწაული. ეს ლამაზი დღე მოკრძალებული სადილით დასრულდა.

ქეთევან ობოლაშვილი

გული მღერის, სული მღერის...

წეროვანში რეკოლექციებზე მამა ჯუზეპესთან ერთად 3 დღით ჩავედით. ვიყავით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: ბათუმიდან, ხიზაბავრიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან. სულ ვიყავით 33-დან 65 წლამდე ასაკის 11 ადამიანი.

რეკოლექციის ძირითადი თემები გახლდათ იგავები: „დაკარგულ ძეზე“ (ლუკ. 15, 11-35); „მევენახესა და მის მუშაკებზე“ (მათ. 20, 1-15); „მთესველზე“ (მარკ. 4, 3-9); „მდიდარ კაცსა და მმართველზე, რომელიც ქონებას უნიავებდა“ (ლუკ. 16, 1-13).

ყოველი დილა ლოცვით იწყებოდა, საუზმის შემდეგ კი სახარების იგავებს ვარჩევდით: ჩვენ ვკითხულობდით, მამა ჯუზეპე კი არჩევდა და ჩვენთვის ძნელად გასაგებ აზრს გვისხნიდა. შემდეგ კი იყო პირადი დრო ამ იგავების გასააზრებლად და ჯგუფში მის ირგვლივ საკუთარი აზრის გამოსახატავად.

როცა ჩემს აზრებს ჩავუღრმავდი, აღმოვაჩინე, რომ ის ორი პიროვნება – უმცროსი ძე, რომელიც დაკარგული იყო დაბრუნდა და უფროსი ძმა, რომელიც თავს არ ზოგავდა შრომაში და რომელსაც შემდგომ ეწყინა მამის ასეთი უანგარო სიყვარული უმცროსი ძმისადმი, შეიძლება ერთ ადამიანში განუყოფლად ცხოვრობდეს. მთავარია მივხვდეთ, რომ ჩვენი მამის სიყვარული უფრო საოცარია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ჩვენ ყველას გვეყოფა ადგილიც და საქმეც, რომ მან თავის საყვარელ შვილებად გვიგულოს.

ერთ-ერთმა იგავმა, რომელიც ქონების გამფანტველ მნეს ეხება, იმაზე დამაფიქრა, რომ ერთგულება პატარა საქმეში არ არსებობს, არსებობს ერთგულება დიდი შემოქმედის მიმართ, რომელიც ამჩნევს ყოველგვარ წვრილმანსაც კი.

მევენახე და მუშაკები: როდესაც ამ იგავს ჩავუღრმავდით, მეუფე ჯუზეპემ გაიხსენა საკუთარი ცხოვრების ის ეპიზოდი, როდესაც მოუწია სიყვარულსა და სამართალს შორის არჩევანი გაეკეთებინა, მას არჩევანი სიყვარულის სასარგებლოდ გააკეთა, მიუხედავად გულში დარჩენილი დიდი ტკივილისა. სხვისი შეცდომა ხშირად გვაიძულებს მოვითხოვოთ ამ ადამიანისაგან სამართალი. ამ ეპიზოდმა ყველანი დაგვაფიქრა და მივხვდით, რომ ხშირად სასტიკნი ვართ, როცა სხვისგან ვითხოვთ იყოს სამართლიანი და გვავიწყდება,

რომ ადამიანს არც თუ ისე ბევრი ჭირდება ბედნიერებისათვის – სითბო და სიყვარული.

სხვისი ნიჭი კარგი გაგებით ჩემი სიმდიდრეცაა...

ჩვენი შეხვედრის ბოლო ღამეს გვქონდა ადორაცია დილამდე. თაყვანისცემისათვის ყოველი ჩვენგანი ერთ საათს ირჩევდა. ბევრი გულისტკივილი, საიდუმლო და მონაპოვარი გავანდეთ იესოს იმ ღამეს...

უფალი აუცილებლად უპასუხებს ჩვენს ლოცვებს და სათხოვარსაც, რომლებსაც დრო სწრაფად წაშლის ჩვენი ხანმოკლე მეხსიერებიდან.

წეროვანსა და ერთმანეთს კვირის საზეიმო წირვით დავემშვიდობეთ. ერთმა ახალგაზრდა სიმპათიურმა ქალბატონმა პირადი ლოცვების დროს მადლიერება ასეთი წამღერებით გამოხატა: „გული მღერის, სული მღერის, შენი მრავალჟამიერი"... ძალიან მიხარია და მინდა, რომ ბევრმა ადამიანმა იგემოს ეს დაუშრეტელი სიხარული, სიხარული იმისა, რომ უფალმა თავის შვილებად აგვირჩია და მოგვცა საუკუნო სიცოცხლე, რომლის შუქი და სიდიადე იგრძნობა უკვე აქ, ამ უკაცრიელ და გამოფიტულ, უწყლო მიწაზე (ფს. 62).

ლელა მახარაძე

ორპირის დაუვიწყადი დღეები

ზაფხული წელიწადის ის დროა, როცა ყველა ისვენებს. წელს ორპირი ჩემთვის გახდა ის ადგილი, სადაც თითქმის მთელი ზაფხული გავატარე – ოთხჯერ ვიყავი წასული ანიმატორად. ვმუშაობდი სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან და მოზარდებთან. მათთან ერთად დაუვიწყარი დრო გავატარე. კამპოსკოლის ბოლო ჯგუფი, რომლებიც ორპირში 9-დან 15 სექტემბრამდე იმყოფებოდნენ, დასავლეთ საქართველოს მოზარდებისაგან შედგებოდა და მათი ასაკი 13-დან 15 წლამდე მერყეობდა. იყვნენ ოზურგეთიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან და სხვ. აღსანიშნავია, რომ მოზარდებისათვის შემუშავებული პროგრამა შინაარსიანი იყო. ამ დღეების განმავლობაში გვანვიხილეთ მათი ასაკისათვის მნიშვნელოვანი თემები.

პირველი შეხვედრის თემა იყო სოციალური სწავლება კათოლიკე ეკლესიაში. ამ თემის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი არის „ევქარისტია და სიყვარული". თავიდან მოზარდებისათვის ამ თემის შინაარსი გაუგებარი იყო, მაგრამ თანდათანობით მივაღწიეთ იმ აზრამდე, რომელიც ყველასათვის მისაღები იყო. მეორე შეხვედრის თემა იყო „მეგობრობა", ამ თემამ მოზარდებში ძალიან დიდი დაინტერესება და აქტიურობა გამოიწვია. ქუთაისიდან ჩამობრძანებულმა ქ-ნმა ნანა ნებიერიძემ ლექცია პრაქტიკულ სამუშაოებზე დაყრდნობით ჩაატარა, ხოლო ქ-ნმა ჭანტურიამ (ქუთაისი) შეხვედრის მესამე დღეს საინტერესო და მეტად აქტუალური თემა წარმოადგინა – „სექსუალურობა". თემის სათაურმა თავიდან ცოტა დაბნეულობა გამოიწვია მოზარდებში, რაც ამ ასაკისათვის ჩვეულებრივ რეაქციას წარმოადგენდა. მაგრამ მალე მოზარდებმა თავი დააღწიეს წარმოქმნილ დაბნეულობასა და კომპლექსს. ვეცადეთ, რომ შეხვედრა მათთვის მისაღებ და გასაგებ ენაზე ჩატარებულიყო.

ბოლო შეხვედრა, რომლის თემა იყო „მოდა", მონაზონმა ჟოზეფინამ ჩაატარა. ეს ტერმინი ახალგაზრდებისათვის სავსებით გასაგები აღმოჩნდა.

ყველა ეს შეხვედრა მოზარდებისათვის ნაყოფიერი გამოდგა.

გარდა ამ თემების განხილვისა, მოვაწყვეთ ექსკურსია რაჭაში, მოვინახულეთ ძველი ეკლესია-მონასტრები, ნიკორწმინდა და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები. ახალგაზრდებმა იცურავეს შაორის ტბაზე და ძალიან კმაყოფილები დარჩნენ ამ დღით.

იმ ექვსი დღის განმავლობაში ვცხოვრობდით ერთი დიდი ოჯახივით. არ გვივიწყებდნენ ჩვენი მოძღვრებიც: მათ ჩაგვიტარეს წმიდა წირვები, მოგვეცა აღსარებისა და წმ. ზიარების მიღების საშუალება. ეს პერიოდი ყველა ჩვენგანისათვის დაუვიწყარი და მნიშვნელოვანი იყო. მიხარია, რომ საშუალება მომეცა მოზარდების ფორმაციაში მცირე წვლილი მეც შემეტანა.

იმედს ვიტოვებ, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც ხშირად ჩატარდება, რაც საუკეთესო საშუალება იქნება ახალგაზრდების, მოზარდებისა და ბავშვთა ფორმაციისათვის.

სოფიკო ასტოიანი
ოზურგეთი

„კარიტასის“ პროექტები

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში განხორციელებული “PSM” პროექტის სოლიდარობის კონგრესი (გუდაური, 3-6 სექტემბერი, 2007)

სოციალური მსახურება კათოლიკურ სამრევლოებში (PSM) – მოხალისეობა სამხრეთ კავკასიაში

2006 წლის მარტიდან, განვითარების პროგრამის ფარგლებში “საქართველოს კარიტასი” პირველად ახორციელებს ერთობლივ პროექტს სამხრეთ კავკასიის ორ ქვეყანას – სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად, რომლის მიზანია სამხრეთ კავკასიის კათოლიკური სამრევლოების გააქტიურება და დახმარება.

პროექტის იდეა წარმოადგინა კათოლიკური დახმარების სამსახურმა (“CRS”) 2005 წლის სექტემბერში, რის შემდეგაც “საქართველოს კაროტასმა” წარუდგინა პროექტი კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრებს. აღნიშნული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა 13 მონაწილე სამრევლო, რომლებშიც მოძღვრებმა შეარჩიეს აქტიური ლიდერი/ანიმატორები.

“PSM” პროექტის მიზანია მოხდეს ქრისტიანული რელიგიით შთაგონებული მოხალისეობის იდეის დანერგვა სამხრეთ კავკასიაში და შედეგად სოციალური სამართლიანობის აღდგენა კათოლიკური სამრევლოებში. საქართველოდან პროექტში მონაწილე სამრევლოები არიან: ორი სამრევლო ქ. თბილისში – წმ. მოციქულთა პეტრე და პავლეს ეკლესია და წმ. მარიამის ზეცადაღყვანების საკათედრო ტაძარი; სამრევლო გორში და ახალხიზაში; სამცხე-ჯავახეთის სამრევლოები: არალი, უდე, ხიზაბავრა, ახალციხე და ვალე; დასავლეთ საქართველოში: ქუთაისი, ახალშენი, ბათუმი და ოზურგეთი.

“PSM” პროექტის სქემის თანახმად, ერთი წლის განმავლობაში სამივე ქვეყნის “კარიტასის” PSM ჯგუფებმა გაიარეს ტრენინგები ტრენერებისთვის “CRS”-ის ოფისში. ტრენინგებს ატარებდა ბულგარეთიდან მოწვეული ექსპერტი, ქ-ნი ვიარა ლაზაროვა. “საქართველოს კარიტასის” PSM ჯგუფმა მოახდინა ტრენინგების რეპლიკაცია და ჩაატარა 6 ტრენინგი.

მიღებული ცოდნის გამოყენებით, ანიმატორებმა ჩამოაყალიბეს მოხალისეთა ჯგუფები და მათთან ერთად ჩაატარეს 13 სამრევლოში ინტერაქტიული გამოკვლევა, და მრევლის მაქსიმალური მონაწილეობით მოხდა პრობლემების გამოვლენა სამრევლოს დონეზე. გამოვლენილი და პრიორიტიზირებულ პრობლემებზე მოხდა მინი-პროექტების შემუშავება.

ერთი წლის განმავლობაში ჩატარდა ორი ტენდერი, რომლის შედეგად საქართველოს კათოლიკურ სამრევლოებში განხორციელდა 12 მინიპროექტი. აღნიშნული პროექტების ფარგლებში დაარსდა: საბავშვო ცენტრები გორში, უდეში და ხიზაბავრაში; ახალგაზრდული ცენტრი ახალხიზაში და

ახალციხეში; საკათედრო ტაძრის სამრევლოში განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა უმწეო ხანდაზმულების დახმარებას; არალში მოეწყო საბავშვო გასართობი მოედანი; ხიზაბავრაში გაკეთდა სამრეცხაო; წმ. მოციქულთა პეტრე და პავლეს ეკლესია თბილისში აწარმოებს საინფორმაციო ფურცლების პუბლიკაციას ბავშვებსა და მოზარდებისათვის; საკათედრო ტაძრის უმწეო მრევლის სახლებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, რის შედეგად გაუმჯობესდა ამ ადამიანების საცხოვრებელი პირობები.

"PSM"-ის პროექტის პირველი ფაზის დასრულება აღინიშნა "PSM" სოლიდარობის კონგრესით, რომელიც ჩატარდა გუდაურში 2007 წლის 3-6 სექტემბრს. კონგრესზე მოწვეული იყო სხვადასხვა ორგანიზაციის 70-მდე წარმომადგენელი. მოწვეულთა შორის იყვნენ კათოლიკე ეკლესიის სასულიერო პირები, კათოლიკური თემების წარმომადგენლები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, წარმომადგენლები ესპანეთის, ევროპის, ჩეხეთის და მოლდოვის კარიტასებიდან, და ასევე "PSM" შეერთებული შტატების და სხვა ევროპის ქვეყნების პარტნიორები. კონგრესმა შესანიშნავი საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა სამხრეთ კავკასიაში ჩატარებული სამუშაო, ასევე, ჯგუფური მუშაობის შედეგად გამოიკვეთა "PSM" სამხრეთ კავკასიის მომავალი გეგმები და პარტნიორობის შესაძლო გზები. ძალზე მნიშვნელოვანი იყო შეერთებული შტატების "PSM"-ის მოდელის გაცნობა, რომელიც კარგი მაგალითია ჩვენთვის. კონგრესმა დიდი წვლილი შეიტანა სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის ურთიერთობების დამყარებაში. მოხდა ინფორმაციის, იდეების და მომავალი ხედვის გაცვლა, ყველას მიეცა საშულება გამოეთქვა თავისი აზრი.

"საქართველოს კარიტასი" კიდევ ერთხელ უხდის უღრმეს მადლობას კათოლიკური დახმარების სამსახურს (CRS) მხარდაჭერისთვის "PSM" პრექტის განხროციელებაში, რომელმაც უკვე მიაღწია თავის მიზანს – "დაეხმარე ადამიანებს, რომ დაეხმარონ თავის თავს". გააქტიურებული და მობილიზებული კათოლიკური სამრევლოები საქართველოში ამის ნათელი დასტურია.

"საქართველოს კარიტასი"

საუბარი ეპისკოპოსთან

2 ნოემბერი – ყველა მორწმუნე მიცვალებულის მოხსენიების დღე

პატივცემულო მამაო,

კათოლიკურ კალენდარში 2 ნოემბერი მოცვალებულთათვის ლოცვის ლიტურგიული დღეა. ნება მომეცით, რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ სიკვდილის შესახებ.

მართლა არსებობს მეორე სიცოცხლე? რა უნდა ვქნათ, როცა ოჯახის წევრი გარდაიცვლება? უნდა გადავუხადოთ თუ არა მღვდელს ფული მის მიერ აღვლენილი ლოცვისთვის? რას ნიშნავს "გარდაცვლილისთვის წმიდა წირვის აღვლენა"? საჭიროა თუ არა გარდაცვლილის დაკრძალვამდე ოჯახის ყველა წევრის მონათვლა?

ბოდიშს გიხდით მრავალი შეკითხვის დასმისთვის.

გიორგი
თბილისი

პატივცემულო ბატონო გიორგი,

გმადლობთ ამ შეკითხვების დასმისთვის, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებლობა მეძლევა, ყველას საყურადღებოდ გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. ეს შეკითხვები ჩემთვის სხვებსაც დაუსვამთ პირადად. მათზე სათითაოდ გიპასუხებთ, – მოკლედ და, იმედი მაქვს, გასაგებად.

ორი ნოემბრის დღესასწაული

მართლაც, იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკურ სარწმუნოებას მიეკუთვნება, ნოემბრის თვეში, განსაკუთრებით კი ორ ნოემბერს, გარდაცვლილთათვის ლოცულობენ. ლოცულობენ ყველა, მათ შორის ყველასგან მივიწყებულ მიცვალებულთათვის, თუმცა განსაკურებულად ეს ლოცვა გარდაცვლილ ნათესავთათვის აღევლინება. საქართველოს ყველა კათოლიკეს მოვუწოდებ, ორ ნოემბერს ეკლესიაში წავიდნენ და შეურთდნენ ღმრთისმსახურის ლოცვას მათთვის ძვირფას ადამიანთა სულების მოსახსენიებლად. საქართველოში აღდგომის მეორე დღეს სასაფლაოზე გასვლის შესანიშნავი ტრადიცია არსებობს. ეს მშვენიერი ტრადიციაა, რადგანაც ის გვაცნობიერებინებს, რომ იესოს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაული მარტო ცოცხლებთან ერთად კი არ უნდა ვიზეიმოთ, არამედ ასევე გარდაცვლილებთან ერთადაც. იესო ყველასათვის აღდგა მკვდრეთით და მასში ჩვენ აღვდგებით! ქართველი კათოლიკეები აღდგომის მომდევნო ორშაბათს მკვდრეთით აღდგომის საკუთარი რწმენის დასამტკიცებლად გადიან სასაფლაოზე.

მართლაც არსებობს თუ არა მეორე სიცოცხლე?

უკეთესი იქნება, თუ ვისაუბრებთ არა "მეორე სიცოცხლეზე", არამედ სიცოცხლეზე – ჩემსა და თქვენს სიცოცხლეზე, რომელიც არ სრულდება, რადგანაც მარადიულია, მიუხედავად იმისა, რომ ის სიკვდილს გაივლის. მაგრამ სიკვდილი არა დასასრული, არამედ გარდამავალი ეტაპია, სწორედ იესოს მკვდრეთით აღდგომის წყალობით. სიკვდილი დამარცხდა და არა მხოლოდ იესოს სიკვდილი, იესოში ჩვენც აღვდგებით მკვდრეთით. ესაა ჩვენი რწმენის მთავარი არსი. ვისაც ეს არ სწამს, თავს ქრისტიანს ვერ უწოდებს. ამბობენ, რომ საქართველოში ეს ბევრს არ სწამს. მაშასადამე, ბევრი ადამიანი ქრისტიანი არ ყოფილა.

სასაფლაო

იმის გამო, რომ იქ ღმრთის შვილთა სხეულები, ანუ ძვირფასი და პატივისცემის ღირსი სხეულები ასვენია (რადგანაც პატივისცემის ღირს მიცვალებულს დაკრძალვამდე ნაკურთხ წყალს აპკურებენ და გუნდრუკს უკმევენ), ყველა მიცვალებულის საფლავი და მთლიანად სასაფლაო წმიდა ადგილია. სასაფლაო სიჩუმისა და ლოცვისთვის განკუთვნილი ადგილია. მათაც, ვისაც სასაფლაოზე საკვები მიაქვს, როგორც ეს საქართველოშია მიღებული, უნდა იცოდნენ, რომ ეს განსხვავებული, რელიგიური სუფრაა, რომელსაც თავისი წესები აქვს (პირადად მე ვფიქრობ, რომ სასაფლაოზე აკრძალული უნდა იყოს მოწევა, ჩხუბი, ბილწსიტყვაობა... მეთანხმებით?)

რა უნდა ვქნათ, როცა ოჯახის წევრი გარდაიცვლება?

ოჯახის წევრის ან მეგობრის სიკვდილი ღრმა კვალს ამჩნევს ადამიანთა სულებს. სწორედ ეს მოვლენა გვაძლევს შესაძლებლობას, დავუსვათ საკუთარ

თავს არსებითი შეკითხვები ცხოვრების, მისი აზრისა და შინაარსის, მნიშვნელოვანისა და მარადიულის შესახებ. ამავე დროს გვეძლევა შესაძლებლობა, გამოვავლინოთ ჩვენი რწმენა. ჩვენ, კათოლიკე ქრისტიანებს, გვწამს, რომ მკვდრეთით აღდგომის ძალით გარდაცვლილები აღდგებიან ქრისტეში და ახალ ქმნილებად იქცევიან! სიკვდილის ჟამს ეკლესია ყველას მოუწოდებს, ილოცონ გარდაცვლილისთვის, რათა გულმოწყალე უფალმა ის თავის სასუფეველში მიიღოს. ჩვენი ლოცვა გარდაცვლილის მიმართ სიყვარულის ყველაზე დიდი გამოხატულება და ნიშანია.

რა უნდა გააკეთოს ამ დროს კათოლიკე ოჯახმა?

1. ოჯახის წევრის სიკვდილის მოახლოებისას, თუკი შესაძლებელია, ამის შესახებ ღმრთისმსახურს უნდა ეცნობოს, რათა მან შეძლოს ადამიანის მონახულება და მისთვის ლოცვა (ღმრთისმსახურს შეუძლია სნეულთა ზეთის ცხების წესი აღასრულოს).

2. ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრებმა ღმრთისმსახურს უნდა სთხოვონ, მივიდეს და მიცვალებულისთვის ილოცოს (არსებობს განსაკუთრებული წესი, რომელიც მიცვალებულის ნაკურთხი წყლით სხურებასა და გუნდრუკის კმევას ითვალისწინებს).

3. ყოველ საღამოს ოჯახის წევრები, ახლობლები და მეზობლები უნდა შეიკრიბონ მიცვალებულის გარშემო, ილოცონ წმ. სავარდის ლოცვა და შეწევნა და მფარველობა შესთხოვონ ღმრთისმშობელს.

4. თუ შესაძლებელია, დაკრძალვის დღეს მიცვალებული ეკლესიაში უნდა იქნას გადასვენებული წირვისთვის, რაც ლოცვის ყველაზე მშვენიერი ფორმაა, და ღმრთისმსახური სასაფლაომდე უნდა გაჰყვეს კუბოს საფლავის საკურთხებლად. ყველაზე ღარიბი ადამიანიც კი ღირსეულად უნდა დაიკრძალოს, ეს რწმენის გამოხატულებაა.

5. თუ დაკრძალვის დღეს წირვის აღვლენა შეუძლებელია, ის მომდევნო კვირადღეს საკრებულოში უნდა აღევლინოს; მორწმუნეთა და კანონის ლოცვაში განსაკუთრებულად უნდა იქნას მოხსენიებული გარდაცვლილი (მისი ოჯახის წევრები წირვას უნდა დაესწრონ).

6. სასურველია, წმ. წირვა ორმოცზეც აღევლინოს.

7. სასურველია, ქელეხის სუფრა სადა და ზომიერი იყოს და ოჯახის ტკივილის გაზიარების გამოხატულებად იქცეს. მნიშვნელობა იმას კი არ უნდა მიენიჭოს, თუ რამდენი და რა კერძია სუფრაზე, არამედ სუფრასთან შეკრების მიზეზსა და არსს.

უნდა გადავუხადოთ თუ არა ფული მღვდელს მის მიერ აღსრულებული წესისთვის?

არა! არ არსებობს დადგენილი ფასები რამე წესის ან ლოცვის აღვლენისთვის. თუ შესაძლებელია, სასურველია ღმრთისმსახურის მიერ გაწეული ხარჯის შემსუბუქება მისთვის საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეწირულობის შეთავაზებით. მაშინაც, როცა წმ. წირვა გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად აღევლინება, თითოეულ ადამიანს საკუთარი მოსაზრებით უპრიანი შესაწირავის შეთავაზება შეუძლია. ლოცვას დადგენილი საფასური არ გააჩნია და წესთა აღსრულებისთვის რამე ფიქსირებული თანხის მოთხოვნის შემთხვევაში ღმრთისმსახური სიმონიის ცოდვასა და საძრახის ქმედებას ჩაიდენს. მისთვის შესაწირავის შეთავაზების გადაწყვეტილება ცალკეულმა მორწმუნემ თავად უნდა მიიღოს.

რას ნიშნავს გარდაცვლილისთვის წირვის აღვლენა?

ღმრთისმსახურს წირვის აღვლენა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება ეთხოვოს: რამისთვის მადლობის ნიშნად, სხვა ცოცხალი პიროვნებისთვის (სულიერი თუ ფიზიკური ჯანმრთელობა...) ან, უფრო ხშირაც, გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად. ჩვენ გვწამს, რომ თუ ადამიანი ღმერთის მორწმუნედ კვდება, მაგრამ მცირე ცოდვები აქვს ჩადენილი, თავისი ღმრთაებრივი გულმოწყალებით ღმერთი განწმედს მის სულს, რათა მან სამოთხეში შესასვლელად აუცილებელ სიწმიდესა და უმწიკვლობას მიაღწიოს. მაშასადამე, ერთმანეთისთვის ლოცვისა ერთმანეთის ტვირთს გაზიარების მსგავსად, მთელ დედამიწაზე მცხოვრებ მორწმუნეებს აგრეთვე შეუძლიათ ლოცვა და შესაწირავის შეთავაზება გარდაცვლილთა სულებისთვისაც, რათა მათ განწმედაში დაეხმარონ, და არ არსებობს და წმ. წირვის მსხვერპლზე უკეთესი ლოცვა.

წმიდა წირვა დროსა და სივრცეს სცილდება და მორწმუნეებს ზეცაში, დედამიწასა და განსაწმედელში ერთ წმიდა თანაზიარებაში აერთიანებს, ხოლო წმიდა ევქარისტია ზრდის ქრისტესთან ჩვენს კავშირს, აუქმებს მცირე ცოდვებსა და მომავალში მძიმე ცოდვათაგან გვიფარავს (კატეხიზმო, ნ. 1391-1396).

ეს ახალი პრაქტიკა არაა. კატეხიზმოში ნათქვამია: "ეკლესია დასაბამიდანვე მიაგებდა პატივს გარდაცვლილთა ხსოვნას და აღავლენდა მათთვის ვედრებას, განსაკუთრებულად – ევქარისტიულ მსხვეპლშეწირვას, რათა, განწმედილებს, ღმრთის სახის ნეტარი ხილვა შეძლებოდათ" (ნ. 1031).

რომის კატაკომბებში საფლავებზე გაკეთებული წარწერების აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ეს ჩვეულება ჯერ კიდევ ქრისტეს შემდეგ მეორე საუკუნეში არსებობდა: მაგალითად, ფრიგიის ეპისკოპოსის, აბერსიუსის (180წ.) საფლავზე გაკეთებული წარწერა მისი სულისთვის ლოცვის თხოვნას გამოხატავს. თავის ნაშრომში "De Monogamia" ტერტულიანე (200წ.) ამოწმებს გარდაცვლილი მეუღლის წლისთავის შესაწირავითა და ლოცვით, ანუ წირვის მეშვეობით, აღნიშვნის წესის არსებობას.

საჭიროა თუ არა გარდაცლილი ნათესავის დაკრძალვამდე ოჯახის ყველა წევრის მონათვლა?

არა! ასეთი რამ კათოლიკე ეკლესიის არც ერთ კანონში არ წერია! კათოლიკე ეკლესია ნათლობას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც არ შეიძლება ნაუცბათევად მოხდეს. პირიქით, ნათლობა მოსანათლი პირის (ან, თუ იგი ბავშვია – მისი მშობლების) მომზადებას საჭიროებს. ეს კი არ შეიძლება მოხდეს რამდენიმე დღეში ან საათში, იმ დროს, როდესაც ოჯახი გლოვობს.

თუკი დაკრძალვას მართლმადიდებელი მღვდელი აღასრულებს და ის გარდაცვლილის დაკრძალვამდე ოჯახის ყველა წევრის მონათვლას მოითხოვს, ასეთ ნაჩქარევ ნათლობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავეთანხმოთ, მით უმეტეს, თუ ამას მართლმადიდებელი მღვდელი მოითხოვს.

+ ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

ეკუმენური გვერდი

რავენა – დიალოგი მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის

რავენაში (იტალია) გაიმართა შეხვედრა კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის. შარშანდელი, ბელგრადის სესიის, შემდეგ, ისევ განახლდა მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის საღმრთისმეტყველო დიალოგის შერეული საერთაშორისო კომისიის მუშაობა. ეს დაწესებულება

ექვსი წლის შესვენების შემდეგ ისევ შეიკრიბა 2006 წელს, რათა ემსჯელათ დიალოგის უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორებზე, იმ დოკუმენტის რედაქტირებით, რომლის სახელწოდებაა **„ეკლესიის საიდუმლო ბუნების ეკლესიოლოგიური და კანონიკური შედეგები: კრებები და სინოდები ეკლესიაში“.**

სერბიის დედაქალაქში არსებითი წინსვლა არ მომხდარა, მაგრამ, როგორც კარდინალი ვალტერ კასპერი ამბობს, შეიქმნა *„ძალზე მშვიდი და მეგობრული ატმოსფერო“.* ახლა, შეხვედრამ რავენაში გადმოინაცვლა, სადაც უფრო მეტი იმედი ჩაისახა.

კომისია პარიტეტულია და მისი წევრია 30 კათოლიკე და ამდენივე მართლმადიდებელი წევრი. მას ხელმძღვანელობს ორი თანაპრეზიდენტი: კარდინალი ვალტერ კასპერი, ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის პაპის საბჭოს თავმჯდომარე და პერგამოს მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი. კომისიის წევრები არიან კათოლიკე და მართლმადიდებელი ეპისკოპოსები, მღვდლები და საერო პირები.

კომისიის ყველა წევრმა მონაწილეობა მიიღო ქალაქის პრეფექტის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე. შემდეგ წმ. აპოლინარიოსის ბაზილიკაში, რავენა-ჩერვიას მთავარეპისკოპოსი ჯუზეპე ვერუკი წარუძღვა მწუხრის წირვას. კომისიის შეხვედრა შედგა 13 ოქტომბერს, რავენის საკათედრო ტაძარში, სადაც კარდინალმა კასპერმა აღავლინა წირვა დიალოგის ყველა წევრის, მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების, თანდასწრებით. მეორე დღეს წმ. ვიტალეს ბაზილიკაში აღესრულა მართლმადიდებლური ღმრთისმსახურება კათოლიკეების თანდასწრებით. 15 ოქტომბერს კომისიის შეხვედრა დასრულდა.

კომისია მსჯელობდა პეტრეს პრიმატის საკითხის შესახებ. ამ თემაზე დიდი ხანია მსჯელობენ. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია პეტრეს მსახურების შესახებ გამართული აკადემიური სიმპოზიუმი, რომელიც 2003 წლის მაისში შედგა რომში, იოანე პავლე II-ის სურვილით, რომელმაც ჯერ კიდევ 1993 წლის ენციკლიკაში „UT unum sint“ გამოხატა ნება „გამოძებნილიყო პრიმატის შესრულების ისეთი ფორმა, რაც მის მისიას არსობრივად არაფერს მოკლებდა“, და გული გაგვეხსნა „ახალი სიტუაციისადმი“. სიმპოზიუმის აქტები ვალტერ კასპერის თაოსნობით ერთ წიგნად შეიკრიბა **„პეტრეს მსახურება. კათოლიკურ- მართლმადიდებლური დიალოგი“,** რომლის პრეზენტაცია მოხდა 2004 წლის 14 ოქტომბერს, რომში.

სიმპოზიუმზე აღინიშნა განსხვავებული თეოლოგიური კონცეფციები, სადაც გამოიკვეთა ის არსობრივი უთანახმოება, რაც საღმრთოს წერილის იმ ეპიზოდის მნიშვნელობას ეხება, როცა იესო პეტრეს უწოდებს „კლდეს“, რომელსაც ეფუძნება ეკლესია. ეპისკოპოსმა ვინჩენცო პალიამ თქვა, *„დღეს უკვე საუბარია არა პრიმატის ლეგიტიმურობაზე, არამედ მის აღსრულებაზე“.*

კიეტის ეპისკოსმა, კომისიის წევრმა, მონსინიორ ბრუნო ფორტემ განმარტა, რომ „მართლმადიდებელ ეკლესიებს უჭირთ პრიმატის როლის მიღება, რაც თავის არსს გამოაცლიდა კრებისა და პატრიარქების ავტორიტეტს. მათ სჭირდებათ თავიანთი ეკლესიის სინოდური სტრუქტურის აღიარებ. აი, ამ მიმართულებით უნდა წავიდეს მსჯელობა, თუკი გვინდა გავიგოთ, როგორ შეიძლება მისიის შესრულება ორი განსხვავებული ფორმით: ერთი – გამოცდილების მქონე ლათინური ეკლესიისათვის და მეორე – მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, რომლებიც რომთან სრულ ზიარებას დაუბრუნდებიან”.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

სიბიუ

ქალაქ სიბიუს *(რუმინეთი)* ცენტრში აგებული დიდი კარავი თვალსაჩინო ნიშანი იყო 4-9 სექტემბერს შემდგარი ევროპის ეკლესიათა საბჭოსა და ევროპის კათოლიკური საეპისკოპოსო კონფერენციების III ასამბლეისა, ბაზელისა (1989) და გრაცის (1997) შემდეგ. აქ ვერ ნახავდით ბილბორდებს, ფართო ეკრანს, რეკლამებს, სტენდებს, ოფისებს და სამდივნოებს, მოვლენაზე მიმართულ პროჟექტორებს, აქ იგრძნობოდა უბრალოება, სისადავე... სტილი საკმაოდ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მასმედია იყენებს მნიშვნელოვანი მოვლენისათვის; აქ იყო ორი სცენა, კარვისა და ცენტრალური მოედნისა, რაც წააგავდა საკონცერტოდ, პარტიების შესახვედრად, ან სულაც პაპის წირვებისთვის მოწყობილ სცენას! და აეროპორტის დარბაზი, რომელიც დიდად არ აღემატება მეტროს მოსაცდელ დარბაზს, ვინაიდან ახალი აეროპორტის აგება დროზე ვერ დასრულდა! აქ არც ხალხის ის რაოდენობა იყო, რასაც გრაცში და ბაზელში ნახავდით, არც მოქალაქეთა დიდი დაინტერესება შეიმჩნეოდა...

სიბიუში, ძირითადად, ექვსი დღის მანძილზე ერთმანეთს ხვდებოდა ევროპის მართლმადიდებელი, პროტესტანტული და კათოლიკე ეკლესიის 2000 დელეგატი, რომლებიც ერთად მსჯელობდნენ თემაზე: **„ქრისტეს ნათელი ყველას ანათებს“**. თავისთავად ეს მიმზიდველი თემა დატვირთული იყო სარწმუნოებრივი, ტრადიციული და საპასუხისმგებლო შინაარსით; გავიხსენოთ, თუ როგორ შეადარა თავი ქრისტემ ნათელ შუქს, ხოლო ყოველი ქრისტიანი – წუთისოფლის ნათელს, მოზიარეს თავისი არსებობისა და მისიისა, თავისი სააღდგომო ცისკრისა, პირველი შუქმოფენის – ნათლობის ლიტურგიულ ტრადიციისა; მრავალი მოხსენება შეეხო ამ რეალობას, რამაც დადებითი მუხტი შესძინა ასამბლეას. გავიხსენებ კარდინალ კასპერს, ტეტამანცის, პატრიარქ ბართოლომეს, ეპისკოპალური კონფერენციის პრეზიდენტს არნოლდ დე კლერმონს, პროფესორ რიკარდს; სამი დღის მანძილზე ისინი ფიქრობდნენ ***ქრისტეს ნათლის საიდუმლოზე*** და მის კავშირზე ეკლესიებთან, ევროპასა და მთელს მსოფლიოსთან. ეს არ იყო მხოლოდ იმ პრობლემათა გადაჭრის მცდელობა, რასაც დღითი დღე ეფინებოდა ნათელი და უფრო ღრმად გაჩვენებდა თანამედროვე მსოფლიოს სახეს, ეს იყო ერთგვარი ბაქანი, რომელიც რეალობასთან გვაახლოებდა. ცხადია, გაბედულება ძლიერი იყო და იგრძნობოდა კიდეც, მაგრამ ხშირად ვფიქრობდი, ნუთუ აუცილებელია დაყოვნება ქრისტეს მიერ განათებულ ეკლესიაზე, იმის გამო, რომ დისკუსიები და მსჯელობები უფრო მეტად “შინ” გაიმართოს და არა „სახლს გარეთ”, “*extra cathedra*”. დიდ გაბედულებას მოითხოვს იმ მანკიერებაზე საუბარი, რაშიც ჩაფლულია ევროპა და მთელი მსოფლიო; ქრისტიანები, რომელ ეკლესიას ან კრებულსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ, გულგრილობას არ უნდა იჩენდნენ ამ პრობლემებისადმი. მაგრამ როგორ შეძლებენ მშვიდობაზე, ერთობაზე, ხალხთა შორის სამართალზე ლაპარაკს, როდესაც ხშირად იძულებულნი არიან სდუმდნენ ან ვერ საუბრობენ საეკლესიო პრობლემებზე, თუნდაც ისეთ სასწრაფო და კონკრეტულ საკითხებზე, როგორც მაგალითად, ნათლობის ორმხრივ აღიარებაზე, გადანათვლის პრაქტიკაზე, იმ სიტუაციებზე, სადაც სიტყვა *ეკუმენიზმი* XX საუკუნის ერესად არის შერაცხული, უფრო საშიშად, ვიდრე IV საუკუნის ქრისტოლოგიური ერესები. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქრისტიანებს უფრო მეტად აღელვებთ ევროპისა და მსოფლიოს მოქალაქეობის შეგრძნება და წვლილის შეტანა ევროპის საერთო სახლში ორივე მხრიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, გლობალიზებულ საზოგადოებაში, ვიდრე თვითგაცხადება სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიების წევრებად, რომლებსაც სურთ ქრისტეს სხეულის ერთადერთი საიდუმლოს გამჟღავნება, ასე მხოლოდ იქმნება შთაბეჭდილება, რომ გაცილებით იოლია ერთიანი ევროპის აგება, ვიდრე

ერთიანი ეკლესიის. ცხადია, ყველა ჩართვა, – პრეზიდენტ ბაროზოდან მოყოლებული, – რაც ევროპულ თემატიკას ეხებოდა, დიდ დაინტერესებას იწვევდა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ამდენი ხნის შემდეგ, როგორც იქნა ქრისტიანული ეკლესიების არსებობა, ებრაულ და ისლამურ რწმენასთან ერთად, ევროპელი პოლიტიკოსების ინტერესების საგანი გახდა, და თუკი ამას გარკვეული შედეგი მოყვება ეს ძალზე პოზიტიური ნაბიჯი იქნება. აქვე მოვისმინეთ ეკლესიის მეთაურთა მიერ გამოგზავნილი მისასალმებელი სიტყვები, მათ შორის ბენედიქტე XVI-ის, ალექსი II-ის, გარეკინ II-ისა, ასევე მრავლად იყვნენ მათი თვალსაჩინო წარმომადგენლები; დასწრების მხრივ ნამდვილად შეიმჩნეოდა ერთგულება 2000-ზე მეტი დელეგატის და მოხალისეთა ჯგუფების მხრიდან, ისინი ცდილობდნენ საინტერესო გაეხადათ კარვის ქვეშ თუ მოედანზე გამართული ასამბლეა თავიანთი მოსმენით (რადგანაც დრო უმთავრესად ეთმობოდა კონფერენციებს) და ასევე... მონაწილეობით, საკუთარი აზრის და გამოცდილების სხვებისადმი გაზიარების სურვილით. ერთია, რომ დრო ყველაფრისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამაზე ცოცხლად მეტყველებლდა იმ ადამიანთა გრძელი რიგები, ვინც ასამბლეის დასკვნით ნაწილში თავიანთი პოზიციის გამოსახატავად ამაოდ ჩაეწერა. რასაკვირველია, კონფერენციების სიღრმისა და ინტენსივობის მიუხედავად, ასამბლეას მაინც არ დაუკარგავს ეს დელეგატები.

არასოდეს დამავიწყდება სიმშვიდის ის შეგრძნება, რითაც შემეძლო ქალაქის მართლმადიდებლური კათედრაში შესვლა და გამოსვლა, ლათინური წესით პირჯვრის გამოსახვა, ტაძრის ჩრდილში მდუმარედ ყოფნა და დაკვირვება ღმრთისადმი მოწიწებულ მორწმუნეებზე, რომლებიც სანთლის დანთებაზე და პირჯვრის გამოსახვაზე უფრო მეტად, ხატებისადმი თაყვანს აჩვენებდნენ, ერთი შეხედვით, სარწმუნეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება და არაფანატიკური განწყობილება ჩანდა ამ ხალხში, ვათვალიერებდი საკათედრო ტაძრის ლამაზ ფრესკებს, ტაძარი მეოცე საუკუნეში აიგო სტამბულის აია სოფიას სტილში; მარცხენა ცენტრალურ კედელზე გამოსახული იყო ძალზე იშვიათი ფრესკა - იესო იგავებით მოძღვრავდა ბრბოს; აქვე იყო მთესველი... ოდნავ ზემოთ სახლი, რომელსაც განუდგა უძღები შვილი... ხშირად ვუყურებდი ამ დიდ ნახატს და ვფიქრობდი მამის სიყვარულზე, ორივე შვილის რწმენაში მოქცევაზე, ამ სახლის ერთიანობისთვის ლოცვის აუცილებლობაზე; სწორედ ამ ტაძარში მივიღე მონაწილეობა 4 სექტემბერს სიბიუს მეტროპოლიტის და მისი სამღვდელოების მიერ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ბართოლომ I-ის დახვედრაში, რომელსაც იღებდა ერისკაცთა და ბერების დიდი რაოდენობა, დიდი მოწიწებით, ზარების რეკვით და გუნდის ძლიერი გალობით; ამ ტაძარში ისევ მოვხვდი 9 სექტემბერს ქალაქის დამხმარე ეპისკოპოსების მიერ მწუხრის ლოცვაზე; რაღაც მომენტში, განასაკუთრებით მამაკაცები, იმ ადგილზე შეჯგუფდნენ, სადაც ერთ-ერთი მღვდელი საქადაგებლად ავიდა კათედრაზე, სწორედ ისე როგორც გამოსახული იყო ეკლესიის კედლებზე, რასაც აირეკლავდა ეკლესიის ვიტრაჟებიდან წამოსული შუქი, ამგვარ ფრესკებს მრავლად შეხვდებით საქართველოში: რამდენი ხანია მშვიდად და აუღელვებლად არ გავჩერებულვარ მართლმადიდებელ ტაძარში იმის შიშით, რომ ვინმე მოვიდოდა და გამაგდებდა, ან სულაც საყვედურს მეტყოდა ჩემი რომაული კათოლიკობის გამო! რასაკვირველია, ქრისტიანებს შორის კავშირის არც რუმინეთშია ია-ვარდით მოფენილი და განსაკუთრებით პრობლემებია მართლმადიდებლებსა და აღმოსავლური წესის კათოლიკეებს შორის კომუნიზმის დროს მიტაცებული საკუთრების დაბრუნების მხრივ. გულში ვატარებ საქართველოს მიწაზე ჩემი ყოფნის დროს ქრისტიან მორწმუნეთა შორის ურთიერთობაში წარმოქმილ სირთულეს (ზუსტათ ათი წლის წინათ დატოვა პატრიარქმა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. თითქოს 10 წლის შემდეგ ეს

აღარც არის პრობლემა!), მოლოდინით, დაბნეულობით, აღარ ვიცი როგორ მოვიქცე და რა ვთქვა, ისევ მჯეროდეს, რომ დიალოგი ყველაზე მთავარია, რომ საჭიროა სამართლიანობის, ჭეშმარიტების და სიყვარულის განზავება, ეკლესია-დებად ყოფნის რწმენა, მიუხედავად იმ წესისა, რითაც მართლმადიდებლები ხელახლა ნათლავენ კათოლიკეებს, რომ უნდა ვილოცო ქრისტიანთა ერთიანობისათვის უდაბნოს სიმარტოვეში.

ვიმყოფებოდი კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც ახლადგალამაზებულ ცენტრალურ მოედანთან მდებარეობს, სადაც ასამბლეის ინაუგურაციის წინა დღეს ყველაზე ღირშესანიშნავი მოვლენებისთვის აიგო სცენა; ვუყურებდი როგორ რთავდა ეკლესიას ქალბატონების ერთი ჯგუფი ლამაზ-ლამაზი ყვავილებით, მათში იგრძნობოდა არა თავის გამოჩენის სურვილი, არამედ სტუმართმოყვარეობა, იმ მოვლენისთვის მზადყოფნა, რაც შეიძლება ამ საკრებულოსთვის ერთადერთიც იყო, გოთური სტილის დიდი ევანგელისტური ეკლესია, რომლის სამრეკლოც ყველა ადგილიდან მოსჩანს, ლამაზად ერწყმის ქალაქის პეიზაჟს; ის ამ ორი ეკლესიის შორიახლოს მდებარეობს, ეკლესიის შიგნით ძირითად საკურთხეველზე, პეტრესა და პავლეს შორის, დიდი ჯვარცმაა. ნათლობის ემბაზს რომ ვუცქერდი, ვფიქრობდი, როდის შევძლებდით ყველა ეკლესიის მიერ აღიარებული ერთადერთი ნათლობის საიდუმლოს შესრულებას, ერთი ევქარისტიული სუფრის ირგვლივ შემოსხდომას? თითქოს ჩემს ფიქრებს შემოუერთდა ევანგელისტური საკრებულოს შუადღის ჟამის ფსალმუნიადა დახვეწილი გრიგორისეული გალობით, ბენედიქტელი ბერების სადარი ხმებით. *ტეზეს* ეკლესიაში გამოყენებული ზოგიერთი ხატიც, ირგვლივ ანათებული შუქებით, ზიარების და ეკლესიების ტრადიციებისადმი ყურადღების სურვილს აღძრავდა; ეკლესიის გარეთ გვაჩვენებდნენ ხელოვნების ნიმუშებს პლასტმასის ხელახალ გამოყენებაზე, გამოფენას ეკოლოგიურ თემაზე და ენერგეტიკის დაზოგვის პრობლემებზე.

სამი ტაძარი, რომლებიც თითქმის ჰარმონიული შერწყმით ამოწმებდა საუკუნოვან ისტორიას, ხალხთა, პიროვნებათა, კულტურათა, სამეფოთა შეხვედრებს, დაპირისპირებებს და რომლებიც სიკეთეს უსურვებდა ევროპის მესამე ასამბლეის დღეებს.

ვფიქრობ, ყველასთვის საინტერესოა იმ ქვეყანაში მოხვედრა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ ევროპიდან გაირიცხა და წელს უკვე ევროპის წევრია, თანაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია; ტყუილად როდი აირჩიეს წლევანდელ წელს ქ.სიბიუ ევროპის კულტურულ დედაქალაქად და ევროპის III ეკუმენური შეხვედრის ადგილად.

რუმინეთის ეკლესიის პატრიარქი, თეოქტისტე, რამდენიმე კვირით ადრე გარდაიცვალა. ასამბლეას ნამდვილად მოაკლდა მისი გაბედული მოწმობა ეკლესიათა ერთიანობის საკითხზე და, ამავდროულად, ჩააფიქრა ყველა იქ მყოფი, ვისაც უკანასკნელ საუკუნეში და მესამე ათასწლეულის დასაწყისში უღვაწია ეკლესიის ერთიანობისათვის და კვლავ გულმოდგინედ ევედრება ზეციერ მამას, ძის ლოცვაში მოზიარეობით, იმ ხალხთა ერთიანობისთვის, ვისაც ჯერ კიდევ სწამს მისი სახელი. ყველაზე მხურვალე და ხანგრძლივი აპლოდისმენტები სწორედ მათ დაიმსახურეს.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ინტერვიუ

განათლების რეფორმის გზები

ინტერვიუს განათლების სამინისტროს პროგრამებისა და პროექტების სამმართველოს (№2) უფროსოს მოადგილესთან, ქალბატონ ***ლელა მაისურაძესთან*** *უძღვება* ***მანანა ანდრიაძე.***

ქალბატონო ლელა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბატონმა ალექსანდრე ლომაიამ, მოსვლისთანავე მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა სამინისტროში. შეიქმნა *საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი და მასში შემავალი ევროპული ინტეგრაციის სამმართველო,* რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით. ორიოდე წელი გავიდა და იმავე მინისტრის მიერ განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად აღნიშნული დეპარტამენტიც და სამმართველოც გაუქმდა. აქედან გამომდინარე, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ პრიორიტეტებმა გადაინაცვლა და ამჟამად განათლების სფეროში ნაკლებად აქტუალურია ევროპასთან ინტეგრაცია?

სამინისტროს ზოგადი პოლიტიკა არ შეცვლილა. პირიქით, რესტრუქტურიზაციის შედეგად უფრო გამოკვეთილი და შედეგზე ორიენტირებული გახდა ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი, რომელიც გაწერილია პროგრამებზე და კონკრეტულ მიზნებზე, განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. განხორციელებულმა ცვლილებებმა პროცესი უფრო მოქნილი გახადა. პროგრამულ აზროვნებაზე გადასვლამ შესაძლებელი გახადა სამინისტროს ნებისმიერი თანამშრომლის – იურისტების, ფინანსისტებისა და სხვების ჩართვა ევროპული ინტეგრაციის სტრატეგიულ პოლიტიკაში, ასევე, სამინისტროში არსებული რესურსების გამოყენება და შედეგებზე ორიენტირება.

დღეისათვის რისი დანერგვა მოხერხდა ჩვენი განათლების სისტემაში ევროპული გამოცდილების შესაბამისად? მოგეხსენებათ, საზოგადოების ერთი ნაწილი საკმაოდ აგრესიულად შეხვდა ცვლილებებს. ამბობენ, რომ განათლების საბჭოური სისტემა არაფრით ჩამოუვარდება ევროპულს, პირიქით, ჯობდა კიდეც. ზოგიერთები ეროვნული ღირსების შეურაცხყოფადაც კი მიიჩნევენ ძველი საგანმანათლებლო სისტემის მოშლას, აქაოდა, ასეთი დიდი ისტორიისა და კულტურის ქვეყანას ევროპის მისაბაძი რა გვჭირსო. თუმცა, საკითხავია, რატომ მიიჩნევა უფრო ეროვნულად საბჭოური, ვიდრე ევროპული, მით უფრო, რომ დღეს სადაოდ აღარ მიიჩნევენ, რომ ჩვენც ევროპული ოჯახის წარმომადგენლები ვართ.

რა თქმა უნდა, თავიდან ძნელი იყო იმ სისტემის მოშლა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მკვიდრდებოდა და რომელმაც ზოგჯერ მძიმე შედეგები გამოიწვია: კორუფცია, ნაცნობობის ინსტიტუტი, იდეოლოგიური ჩარჩოები... ამგვარი ცნობიერება საზოგადოების ნაწილში მტკიცედ დაამკვიდრა საბჭოურმა წარსულმა და იმ რთულმა პერიოდმა, რომელიც იმას მოჰყვა. აუცილებელი გახდა ამ ყველაფრის შეცვლა, ახალი ხედვის ჩამოყალიბება და ყველაფრის კანონის ჩარჩოებში მოქცევა. ახალმა საკანონმდებლო ბაზამ დაარეგულირა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პროცესები. თუკი ადრე განათლება არ იყო პრიორიტეტული და მასზე ძალზე მცირე ფინანსები იხარჯებოდა, ამჟამად სახელმწიფოში ეს სისტემა პრიორიტეტულად გამოცხადდა, დაფინანსებაც ბევრად გაიზარდა და ეს ასეა მსოფლიო მასშტაბით. დღევანდელი საზოგადოება არის ცოდნაზე დაფუძნებული, კომპეტენციებზე, შედეგებზე და უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული, ასევე – როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი სიკეთის დაგროვებაზე. ადამიანს, ინდივიდს, უნდა შეეძლოს ცოდნის უფრო მიზნობრივად გამოყენება,

ადაპტაცია განსხვავებულ სიტუაციებში და საკუთარი პოტენციალის სრულყოფილი რეალიზება ცხოვრებაში. ადამიანი დღევანდელ, ევროპულ, საზოგადოებაში ყველაზე დიდი კაპიტალია, რაც სრულიად უცხო იყო საბჭოური ცნობიერებისათვის. ყველაფერი ერთად კი ხელს უწყობს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განვითარებას, კეთილმეზობლურ, მეგობრულ, პროგრესულ დამოკიდებულებებს ადამიანთა შორის. ამაზე არის დაფუძნებული მთლიანად ევროპული აზროვნება. მთავარი აქცენტი არის ადამიანზე, პიროვნებაზე ორიენტირება, რომ მან მაქსიმალური მიიღოს განათლების სისტემიდან და შეძლოს მიღებული ცოდნის პროგრესული კუთხით, მიზანმიმართულად გამოყენება.

გინდათ თქვათ, რომ გვაქვს მნიშვნელოვანი შედეგი, რომ უკეთ ვისწავლეთ ერთმანეთის მოსმენა და განსხვავებული აზრის პატივისცემა?

საქართველოში ყოველთვის იყო განსხვავებული აზრის პატივისცემა. ამის შედეგად დამკვიდრდა ჩვენში მრავალკულტურული, მრავალეროვნული და მრავალრელიგიურისაზოგადოება. შესაძლოა, ცალკეული ჯგუფისათვის შემწყნარებლობა ნაკლებად არის დამახასიათებელი, რაც შედეგია გარკვეულ პერიოდში ჩვენი ქვეყნის იზოლირებისა საერთო ევროპული სივრცისაგან და ჩვენი მოქცევისა გარკვეულ ჩარჩოებში, მაგრამ, ვფიქრობ, დღეისათვის ეს ნაკლებად მასშტაბურია და არ ატარებს ზოგადეროვნულ ნიშნებს.

ამ ფონზე, სკოლებში მოძღვრის ინსტიტუტის შემოღების ინიციატივას როგორ შეაფასებდით?

ეს საკითხი ჩემი კომპეტენცია არ არის, თუმცა შემიძლია ვთქვა, რელიგიის სწავლება იმ კუთხით, რომ გარკვეული უხერხულება შეექმნათ კლასში იმ მოსწავლეებს, რომლებიც განსხვავებული მრწამსის მატარებლები არიან, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

რას მოითხოვს განათლების სამინისტრო დღევანდელი უმაღლესი სასწავლებლისაგან, რაზე უნდა იყოს ის ორიენტირებული?

სტუდენტმა უნდა მიიღოს უმაღლეს სასწავლებელში სათანადო ცოდნა და აღიჭურვოს იმ უნარებითა და კომპეტენციებით, რაც შესაძლებლობას მისცემს, იპოვოს საკუთარი ადგილი ცხოვრებაში. სასწავლო პოლიტიკა და პრინციპები ქვეყნის ინტერესებსა და მოთხოვნებს უნდა უპასუხებდეს. ყველა სასწავლებელმა თავისი მისია უნდა განსაზღვროს და ამ მისიის აქტიურად და ეფექტურად განხორციელებაზე გააკეთოს აქცენტები, ასევე შეასრულოს ყველა ის დაპირება, რაც შეთავაზებული იყო სტუდენტებისათვის.

ევროპასთან ინტეგრაცია სულ უფრო მეტ ახალგაზრდებს უღებს კარს საზღვარგარეთ განათლების მისაღებად, მაგრამ ეს მექანიზმი ჯერ კიდევ დასახვეწია, გამჭვირვალობას მოკლებული. განათლების სამინისტროს თუ შეუძლია დახმარების გაწევა საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველთათვის?

სტუდენტების მობილობა ჩვენი პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. უმაღლესი სასწავლებვლებისათვის ჩვენ ძირითადად რეკომენდაციების მიცემა შეგვიძლია. მათ აქვთ მინიჭებული ავტონომია და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირებზე დამოუკიდებლად უნდა გავიდნენ. პარტნიორული

ურთიერთობების ჩამოყალიბება, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლები, სტაბილური ურთიერთკავშირების დამყარება, თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლებისათვის წარმატების მთავარი გარანტია.

ხომ არაფერს დაამატებდით?

თქვენს ჟურნალს ვუსურვებ წარმატებებს, სიმართლის მსახურებას და ბევრი ერთგული მკითხველის შეძენას.

გმადლობთ!

ინფორმაცია

სიმართლე, რომელიც უნდა ვიცოდეთ

ახლახან რუსულ ენაზე გამოიცა იტალიელი ისტორიკოსის ჯოვანი სალეს წიგნი "წმიდა საყდარი და ნაციზმი". ზედმიწევნით ზუსტი თარგმანი შესრულებულია ვიტალი დოლიძის მიერ. წიგნი შესაძლებლობას მისცემს მკითხველს, გაიგოს სიმართლე იმის შესახებ, თუ როგორ უპირისპირდებოდა წმიდა საყდარი ნაცისტურ რეჟიმს. ავტორმა დაწვრილებით შეისწავლა საარქივო მასალები, გამოიკვლია დოკუმენტები, გაითავისა იმ დროის მთელი შეცნობილი რეალობა და გახსნა ძირითადი არსი პრობლემისა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე არსებობდა გარკვეული წრეების (და არა მარტო!) პროპაგანდის წყალობით, მათ შორის კომუნისტური წრეებისაც, რომლებიც ცდილობდნენ, ცილი დაეწამებინათ პაპ პიუს XII-ისათვის. ავტორი გაეცნო იმ დროს მოღვაწე ღმრთისმსახურთა და ცალკეულ პირთა მრავალ გამონათქვამს, რომლებიც მის წიგნშია მოყვანილი. ამ მასალებიდან ცხადი ხდება, რომ მრავალი ადამიანი ვალად მიიჩნევდა არა მხოლოდ გამოსარჩლებოდა განწირულთ, არამედ დაეხსნა კიდეც ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში სიკვდილისგან. და ამაში არც თუ მცირე წვლილი მიუძღვის პიუს XII-ს.

წიგნის ყოველ თავში დაწვრილებითაა გადმოცემული იმ ულმობელი დროის მოვლენები. ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ მწვავდებოდა ურთიერთობები მესამე რაიხსა და წმიდა საყდარს შორის ხელისუფლებაში ფიურერის მოსვლის შემდეგ.

პირველსავე თავში ავტორს მოჰყავს ჰიტლერის საპროგრამო სიტყვა გერმანელი ხალხის მიმართ (1933 წლის 1 თებერვალი). ფიურერი ამბობს, რომ მისი მთავრობის წევრები "პატივს სცემენ და დაიცავენ ძირითად პრინციპებს, რომელთაც ჩვენი ერი ეფუძნება. ისინი განიხილავენ ქრისტიანობას, როგორც ჩვენი ზნეობის საფუძველს, ოჯახს კი – როგორც ეროვნული ცხოვრების საყრდენს". სინამდვილეში ეს სიტყვები პროპაგანდისტული მიზნითა და დემაგოგიური განზრახვით იყო წარმოთქმული და, ცხადია, ამ სიტყვებმა ვერავინ დაარწმუნა, რადგან უცნობია, რომელ ქრისტიანობაზე მიუთითებდა ჰიტლერი. ამ პერიოდში იგი აკეთებდა ყველაფერს, რათა თავიდან აეცილებინა რელიგიურ ძალაუფლებასთან დაპირისპირება. მან იცოდა, რომ ძალაუფლების გამყარებისთვის ეკლესიის მხარდაჭერაა საჭირო. მაგრამ საარჩევნო კამპანიის დროს სრულად გამოვლინდა დაპირისპირება ნაციონალ-სოციალიზმსა და კათოლიკურ სამყაროს შორის. ამ პერიოდში კათოლიკური ფრონტი სისუსტის ნიშნებს ავლენს და ნაციონალ-სოციალიზმის ზეწოლით დათმობებზე მიდის.

მეორე თავი მთლიანად ეძღვნება ჰიტლერის ვიზიტს რომში. 1938 წლის გაზაფხულზე ფიურერი მარადიულ ქალაქს ეწვია. ამ ვიზიტს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ჰიტლერი არ აპირებდა ვატიკანის სტუმრობას და, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების შეცვლას

ურჩევდნენ, ეს გადაწყვეტილება არ შეუცვლია. ამ ვიზიტის შემდეგ დამოკიდებულება წმიდა საყდარსა და მესამე რაიხს შორის დაიძაბა, რის გამოც გერმანიაში კათოლიკე ეკლესიის დევნა გაძლიერდა. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხელი მოეწერა კონკორდატს. წმიდა საყდარი გერმანელ კათოლიკეთა ინტერესების დაცვას ცდილობდა, მაგრამ კონფლიქტი კათოლიკე ეკლესიასა და ახალ ავტორიტარულ მთავრობას შორის გამწვავდა. მრავალი კათოლიკური ასოციაცია, სკოლა და პროფკავშირი რეჟიმმა რაიხისთვის სახიფათოდ მიიჩნია, რასაც მათი ძარცვა და დახურვა მოჰყვა. ათასობით მღვდელი, მონაზონი და საერო პირი იქნა დაპატიმრებული, მოკლული და დეპორტირებული საკონცენტრაციო ბანაკებში. ამ პირქუშ ფონზე ჩვენს თვალწინ ჩნდება გულადი და უშიშარი ადამიანი პაპი პიუს XI. თავის ენციკლიკაში "Mit brennendere Sorge" იგი ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფო ხელისუფლება გამუდმებით არღვევს კონკორდატს და გმობს რაიხისა და რასის გაღმერთების ნეოწარმართულ და ანტიქრისტიანულ დოქტრინას. პაპის ეპისტოლე ერთდროულად გერმანიის რამდენიმე ქალაქში დაიბეჭდა და ერთ კვირა დღეს მრავალი ეკლესიის ამბიონიდან გაჟღერდა. ცხადია, ამას მყისვე მოყვა რეჟიმის რეაქცია. მხოლოდ ერთი სტამბიდან ამოღებულ იქნა 4000 ცალი. პოლიციამ ენციკლიკა სახელმწიფო ღალატის აქტად გამოაცხადა. იხურებოდა სტამბები, სადაც პაპის ეპისტოლე დაიბეჭდა.

გერმანიის ელჩმა ვატიკანში საპროტესტო ნოტა გადასცა სახელმწიფო სამდივნოს პაპის ეპისტოლის გამო. კერძოდ მასში ნათქვამია: "როგორც ტონით, ასევე შინაარსითაც, ენციკლიკა გამოხატავს დაუფარავად მტრულ დამოკიდებულებას რაიხის მიმართ". წმიდა საყდარმა გერმანიის ელჩის პროტესტს სახელმწიფო მდივნის კარდინალ პაჩელის დიპლომატიური ნოტით უპასუხა. მასში დაწვრილებითაა განხილული ფონ ბერგერის მიერ წამოყენებული ყველა საკითხი და მტკიცე ტონით გამოხატულია წმიდა საყდრის თვალსაზრისი სადაო პრობლემების თაობაზე. ეს დოკუმენტი ერთ-ერთი უძლიერესია იმ აქტთაგან, რომლებიც წმიდა საყდარს გამოუცია ნაციონალ-სოციალიზმის მხილებისა და ეკლესიის დაცვის მიზნით.

თავში "ჰიტლერის რომაული ვიზიტის მომზადება" ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა გულმოდგინებით ემზადებოდა რომი ჰიტლერის შესახვედრად. წინასწარ შემუშავებული გეგმით საზეიმო კორტეჟს პაპის ფანჯრებთან უნდა ჩაევლო. პონტიფექსმა მუსოლინის საპროტესტო წერილი გაუგზავნა. პროტესტი მიღებულ იქნა: კონჩილიაციონეს ქუჩა ამოღებულ იქნა სამთავრობო კორტეჟის მარშრუტიდან. კვლავ გამოვლინდა პიუს XI-ის ხასიათი. ჰიტლერის ჩამოსვლამდე სამი დღით ადრე პაპმა დატოვა ქალაქი და დასასვენებლად კასტელ განდოლფოში გაემგზავრა. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს გაქცევა კი არ იყო, არამედ პროტესტი იმ ზეიმის წინააღმდეგ, რომელიც პაპთა ქალაქმა ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მდევნელის საპატივცემულოდ გამართა. მაგრამ პაპი არ კარგავდა ფიურერის დაგვიანებული მონანიების იმედს. მას იმედი ჰქონდა, რომ ეს ვიზიტი საშუალებას მისცემდა, დახმარებოდა კათოლიკურ ეკლესიას გერმანიაში. მაგრამ ამაოდ! პიუს XI, ისევე, როგორც პიუს XII, არასდროს შეხვედრია ჰიტლერს. იმ წლებშიც კი, როდესაც იყო წმიდა საყდრის დესპანი მიუნხენში, შემდეგ კი ბერლინში.

ჰიტლერის ვიზიტის დასრულებიდან სამი დღის შემდეგ პიუს XI გასცა განკარგულება, გამოქვეყნებულიყო "რვა დებულება გერმანიის ნაციზმის წინააღმდეგ". ეს დოკუმენტი მსოფლიოს ყველა კათოლიკურ უნივერსიტეტს გაეგზავნა.

ავტორი სვამს კითხვას: მიუხედავად ყოველი მხრიდან მომავალი თხოვნებისა და შუამდგომლობებისა, რატომ არ დაგმო წმიდა საყდარმა საჯაროდ ანტისემიტური კანონმდებლობა, რომელიც გამოიცა გერმანიაში

ჰიტლერის მმართველობის პირველსავე წელს? ჯოვანი სალე წერს, რომ ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, წმიდა საყდარი არაფერს აკეთებდა ებრაელთა გადასარჩენად. სინამდვილეში კი, ამბობს ავტორი, კეთდებოდა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო. ვატიკანი სთავაზობდა თავის შუამდგომლობას დევნილ ებთაელთა დასაცავად როგორც ოფიციალური დიპლომატიური არხებით, ასევე არაოფიციალურადაც. ეკლესია გმობდა ძალადობის აქტებს ებრაელთა წინააღმდეგ და მათი ქონების ხელყოფას. მაგრამ წმიდა საყდრის ჩარევა კანონით რეგულირებად სფეროში განხილული იქნებოდა როგორც ვატიკანის ჩარევა რაიხის შიდა საქმეებში.

როდესაც ცხადი გახდა, რომ ნაციონალ-სოციალიზმი ფუნდამენტურად ანტიქრისტიანული მოძრაობაა, რომელიც პატივს არ სცემს ეკლესიასა და ადამიანის ძირითად უფლებებს, წმიდა საყდარმა ხმა აღიმაღლა, რათა დაეგმო სახელმწიფოს გაღმერთების დოქტრინა და რასობრივი უპირატესობის მოძღვრება.

ავტორი აღნიშნავს, რომ ლეგენდას ნაცისტურ დანაშაულთა თაობაზე პიუს XII-ის დუმილის შესახებ თან ახლდა სხვა – სახიფათო და ყალბი ლეგენდა, რომლის თანახმად, პაპი ერიდებოდა ჰიტლერის საჯარო დაგმობას, რათა იგი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არ დაესუსტებინა. სინამდვილეში, პონტიფექსი მხარს უჭერდა მოკავშირეთა პოლიტიკას ჰიტლერისა და ნაციზმის წინააღმდეგ. პიუს XII-ს ბრალს იმაშიც სდებდნენ, რომ მან არ გააკეთა ყველაფერი შესაძლებელი ებრაელთა გადასარჩენად. სინამდვილეში პაპმა, რომელმაც კარგად იცოდა, რას წარმოადგენდა ფასისტური რეჟიმი, მრავალი ებრაელის სიცოცხლე იხსნა. შემთხვევითი როდია, რომ ებრაელი მეცნიერი და მკვლევარი პ. ე. ლაპიდე მიიჩნევს, რომ 800000 ებრაელის სიცოცხლე პაპის ჩარევის წყალობით იქნა შენარჩუნებული.

პიუს XII მიიჩნევდა, რომ საჯარო განცხადებები უსარგებლოა და საზიანოც კი და იგი დიპლომატიური არხებით მოქმედებდა, რადგან მიიჩნევდა, რომ მის ხმას შეისმენენ. ასეც ხდებოდა.

უნგრელი ებრაელების გადასარჩენად პაპმა უნგრეთის რეგენტს მიმართა პირადი წერილით, სახელმწიფო სამდივნომ კი სთხოვა დესპანს, დაერწმუნებინა საეპისკოპოსო და ადგილობრივ სასულიერო პირები, დაეცვათ დევნილი ებრაელები. შედეგმაც არ დააყოვნა. უნგრელ ებრაელთა დეპორტაცია დროებით შეჩერდა. 1943 წლის ოქტომბერში დევნის მსხვერპლი გახდა რომში მცხოვრები ათასობით ებრაელი, რომელთაც სატვირთო ვაგონებით გერმანიაში აგზავნიდნენ. პაპმა დაავალა სახელმწიფო სამდივნოს, დაკავშირებოდა გერმანიის ელჩს და მისთვის უდანაშაულოთა დაცვა ეთხოვა. შედეგად დევნა შეწყდა და ათასობით ებრაელი გადარჩა.

1942 წელს საშობაო ეპისტოლეში პაპმა განუცხადა მსოფლიოს, რომ ასობით ათასი ადამიანი განწირულია სასიკვდილოდ მხოლოდ იმიტომ, რომ ამა თუ იმ ეროვნებას ან ტომს ეკუთვნის. თუმცა სიტყვას მას მოქმედება ერჩივნა. პაპის გადაწყვეტილებით, მონაზვნები და მღვდლები თავიანთი სავანეების კარს უღებდნენ დევნილებს. ოთხი ათასამდე ებრაელმა თავშესაფარი პოვა რომის რელიგიურ დაწესებულებებში. ნაცისტები, რომელთაც ჰქონდათ ინფორმაციას ამის შესახებ, არაერთხელ შეჭრილან საღმრთისმსახურო შენობებში და ღმრთისმსახურები დაუპატიმრებიათ...

თავში "წინააღმდეგობა ნაცისტურ გერმანიაში" ავტორი მოგვითხრობს, რომ იმ რთულ დროს იყვნენ ადამიანები, რომლებიც, სასიკვდილო საფრთხის მიუხედავად, წინააღმდეგობას უწევდნენ რეჟიმს და ჰიტლერზე თავდასხმას გეგმავდნენ. აქვე მოყვანილია 20 ივლისის შეთქმულების მონაწილეთა სია.

წიგნს ერთვის პიუს XI-ის ენციკლიკები “უღმრთო კომუნიზმი” და “ეკლესია და გერმანიის რაიხი”, რომლებიც უეჭველად საყურადღებო იქნება მკითხველისათვის.

ასია სარქისიანი
ბათუმი

Spiritus ubi vult spirat ანუ შუა საუკუნეების ქორალები თანამედროვე პერკუსიული ინსტრუმენტების თანხლებით

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების ტაძარში 23 სექტემბერს საკვირაო წირვის შემდეგ გაიმართა სასულიერო მუსიკის კონცერტი Spiritus ubi vult spirat („სულსა ვიდრეცა უნებურ ქრის“). შვეიცარიელმა ვოკალისტმა ვიტე მარია ვებერმა და ქართველმა მუსიკოსმა დიანა მეტრეველმა (დასარტყმელი საკრავები) წარმოადგინეს გრიგორისეული ქორალები და მეთორმეტე საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის წმ. ჰილდეგარდ ფონ ბინგენის საგალობლები, ასევე ძველი უკრაინული (ბერძნულ-კათოლიკური) საგალობლები.

წმ. პაპის გრიგოლ დიდის მიერ შექმნილი ქორალები საუკუნეების მანძილზე ძირითად საგალობლებად რჩებოდა მთელ დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროში. მათ ახლაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. მრავალი თანამედროვე მუსიკის შემსრულებელი, პოპ-ვარსკვლავი იყენებს გრიგორისეულ საგალობლებს და მელოდიებს. რაც შეეხება წმ. ჰილდეგარდს იგი 1098-1179 წლებში ცხოვრობდა. მას აქტუალური მიმოწერა ჰქონდა რომის პაპებთან, დასავლეთ ევროპის მონარქებთან. მრავალ საეკლესიო ნაშრომთან ერთად მან შესანიშნავი საგალობლებიც შექმნა, რომლებსაც მრავალ ტაძარში აჟღერებდნენ ღმრთისმსახურების დროს. მეტად ორიგინალური და საინტერესოა ძველი ინგლისური და უკრაინული საგალობლებიც. კათოლიკურ ინგლისში, პროტესტანტების გაბატონებამდე, საკმაოდ ხშირად ასრულებდნენ ადგილობრივ კომპოზიტორთა მიერ შექმნილ ლათინურენოვან საგალობლებს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახლდათ რონდელური (141) საგალობლები და ჰიმნები.

მეტად ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი მთლიანად კონცერტის კომპოზიცია, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა და ოთხ სტიქიას – მიწას, წყალს, ჰაერსა და ცეცხლს წარმოგვიდგენდა. მარია ვიტე ვებერის მიერ შესრულებულ ანტიფონები, ჰიმნები და ქორალები შესანიშნავად ეხამებოდა დიანა მეტრეველის მიერ პერკუსიულ ინსტრუმენტებზე შესრულებულ იმპროვიზაციებს. რომც არ ყოფილიყო პროგრამაში სათანადო მინიშნებები მსმენელი ზუსტად აღიქვამდა ჰაერის ქროლვას, წყლის ჩხრიალს თუ ცეცხლის გუგუნს საგალობლებს შორის შესრულებული პერკუსიონისტული იმპროვიზაციების დროს.

ბრწყინვალე ვოკალი, პერკუსიონისტური ხელოვნება და ისტორიული თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი შუასაუკუნეების დროინდელი მელოდიები ცხადია, გულგრილს ვერავის დატოვებდა. თუმცა ტაძრებში გამართულ სასულიერო მუსიკის კონცერტებზე არ არის მიღებული ცალკეული კომპოზიციების შემდეგ შემსრულებელთა აპლოდისმენტებით დაჯილდოება, ვიტე მარია ვებერის ვოკალმა მაინც თავისი გავლენა მოახდინა და კონცერტის მსვლელობისას მსმენელებმა ტაშით გამოხატეს აღფრთოვანება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრიგორისეული ქორალების მოსასმენად ტაძარში, მრევლის წევრების გარდა, მრავალრიცხოვანი სტუმარიც იმყოფებოდა, რომლებიც კათოლიკური საგალობლების სიყვარულმა გააერთიანა.

კონცერტის დასასრულს ტაძრის წინამძღვარმა მამა ადამ ოხალმა გულთბილი მადლობა გადაუხადა შემსრულებლებსა და სტუმრებს და იმედი გამოთქვა, რომ წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარი მომავალშიც ფართოდ გაუღებს კარს სასულიერო მუსიკის მოყვარულებს. მან თავისი გამოსვლა ნეტარი ავგუსტინეს გამონათქვამით დაასრულა: „გალობა ეს ორგზის ლოცვაა“, ხოლო ტაძარი კი სწორედ ლოცვისათვისაა განკუთვნილი.

ახალი წიგნის პრეზენტაცია

„კავკასიურ სახლში“, გარკვეული ინტერვალის შემდეგ, კვლავ განახლდა რელიგიური თემატიკისადმი მიძღვნილი (და კარგ ტრადიციად ქცეული!) შეხვედრები. ამ შეხვედრებმა მართლაც მნიშვნელოვანი და სასიკეთო კვალი დაამჩნიეს მრავალი ათეული ადამიანის ცხოვრებას. მრავალს აუხილა თვალი ჩვენს ქვეყანაში ტოლერანტობის თვალსაზრისით არსებულ ვითარებაზე, ბევრს დაეხმარა დაეძლია საკუთარ თავში ჩაბუდებული შუა საუკუნეებრივი ეთნიკური თუ რელიგიური ფანატიზმი. რელიგიური თემატიკის შეხვედრები ისევ განახლდა, მხოლოდ უკვე შეცვლილი, უფრო თანამედროვე ფორმატით და მან სემინარის ნაცვლად დისკუსიის სახე მიიღო.

მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩატარდა პირველი დისკუსია, რომელიც უკრაინაში მიმდინარე რელიგიურ და პოლიტიკურ პროცესებს ეხებოდა. მრავალრიცხოვან სტუმართა შორის საქართველოში მოქმედი უკრაინელთა სათვისტომოს წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ოქტომბრის მეორე შეხვედრა კი იყო ცნობილი გერმანელი სასულიერო მოღვაწის, მღვდლის, რელიგიური მწერლის ვილჰელმ ბუშის საქვეყნოდ გახმაურებული წიგნის „იესო – ჩვენი ბედისწერა“ პრეზენტაცია. წიგნი გერმანულიდან თარგმნეს მარიამ ასათიანმა და ნაირა გელაშვილმა (გამომცემლობა „კავკასიური სახლი“). ამ წიგნის დაწერიდან 41 წელი გავიდა. იგი არაერთხელ გამოიცა და მისმა ტირაჟმა მილიონს გადააჭარბა. მასში ავტორი ყველასათვის გასაგები და სულში ჩამწვდომი ენით ცდილობს ღმრთის მაძიებელ ადამიანს გაუწიოს მეგზურობა და მიიყვანოს იმ უდიდეს სიყვარულთან, რასაც იესო ჰქვია. წიგნი ნებისმიერი ასაკისა და განათლების ადამიანისათვის არის გათვლილი და არც ერთ მათგანს არ დატოვებს გულგრილს.

ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა ისეთი სულში ჩამწვდომი ემოციით მოახდინა წიგნის ბოლო თავის დეკლამაცია, რომ თითქმის ერთი საათის განმავლობაში სავსე დარბაზი მონუსხულივით ისმენდა გერმანელი მღვდლის დამოწმებას, მის უკანასკნელ ქადაგებას, რომლითაც ცნობილმა პასტორმა 1966 წელს მიმართა თავის აუდიტორიას.

შემდეგ დისკუსიის წამყვანმა, ბ-ნმა ვასილ კობახიძემ დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას დაუთმო ასპარეზი. რომის კათოლიკე ეკლესიის მღვდელმა აკაკი ჭელიძემ, პასტორმა ზაალ ტყეშელაშვილმა, იღუმენმა კირიონმა თავიანთ გამოსვლებში ვრცლად ისაუბრეს წიგნის ქართულად გამოცემის მნიშვნელობაზე, მის აკონფესიურობაზე და მთარგმნელებს მადლობა გადაუხადეს (მათ შორის სასულიერო სასწავლებლის მსმენელებმაც). დისკუსიაში მრავალმა ადამიანა მიიღო მონაწილეობა. ყველა ერთხმად აღიარებდა წიგნის ქართულად გამოცემის მნიშვნელობასა და აუცილებლობას. იღუმენმა კირიონმა მართლმადიდებლური თვალთახედვით წარმოადგინა მაცხოვრისადმი მორწმუნეთა დამოკიდებულება.

ბუშის წიგნის მთავრდება სიტყვებით: “დიდი განძია – ეკუთვნოდე მაცხოვარს. თქვენც, ყველას გისურვებთ ამ სიმდიდრეს, ამ ბედნიერებას!” მართლაც, ამ წიგნის ქართული გამოცემით მკითხველმა დიდი საჩუქარი მიიღო, საშუალება

მიეცა ახალი კუთხით შეხედოს იესოს, ახლებურად გაიაზროს თავისი ცხოვრება მაცხოვართან მიმართებაში. ამ წიგნში თანამედროვე თვალთახედვით არის წარმოდგენილი იესოსთან დამოკიდებულება, გაანალიზებულია ის შეცდომები, რასაც მატერიალურად უზრუნველყოფილი, მაგრამ სულიერებადაცლილი, რელიგიურად ინდიფერენტული ახალგაზრდობა ავლენს ღმრთის რწმენისადმი. წიგნის ავტორი ძირითადად ამგვარ ახალგაზრდებს მიმართავს, რომელთათვისაც რწმენას აზრი დაუკარგავს და ყველაფერს ირონიით ეკიდებიან, მაგრამ ამასთანავე, ავტორი ღმრთის ყველა მაძიებელს მიმართავს და ცდილობს მათ გულებში გააღვიძოს სიყვარული, გააღოს მათი გულები იესოსათვის.

იესოს შენ უყვარხარ

8 ოქტომბერს, თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სულიწმინდის (ორმოცდაათიანელთა) ეკლესიის ორგანიზებით ჩატარდა თანამედროვე ქრისტიანული საგალობლების კონცერტი. ეკლესიის გაერთიანებული გუნდი წარმოადგენდა ქართულ ენაზე შექმნილ და ნათარგმნ საგალობლებს. აღსანიშნავია დარბაზის სცენოგრაფია – პროტესტანტული ეკლესიისათვის დამახასიათებელი სისადავით, უბრალოებით, მაგრამ მაღალი გემოვნებით გამორჩეული. ასევე, ის ქორეოგრაფიული სიუჟეტი, რომელიც საგალობლების სინქრონულად მიმდინარეობდა. თუმცა ერთი თითქოს მცირე, მაგრამ უხეში ლაფსუსი გაიპარა ქორეოგრაფიულ სიუჟეტში, რომელიც გოლგოთას გზას წარმოადგენდა. რომაელი ჯარისკაცები თანამედროვე კომუფლაჟით იყვნენ შემოსილნი და მხარები ხუთჯვრიანი დროშებიანი ემბლემებით ჰქონდათ დამშვენებული. უყურადღებობით გაპარაულმა ამ ლაფსუსმა, ბუნებრივი გულისტკივილი გამოიწვია, ვინაიდან ჯვრით დამშვენებული ლეგიონერები, მით უმეტეს თუ ეს ემბლემა შენი ქვეყნის ეროვნულ დროშას წარმოადგენს, დამეთანხმებით უსიამოვნო შეგრძნებებს ტოვებს. ამ ხარვეზს თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, ქრისტიანული საგალობლების კონცერტმა დიდებულად ჩაიარა და ფინალი დარბაზში შეკრებილ 2000-ზე მეტი მსმენელის ხანგრძლივი ოვაციებით დაგვირგვინდა. კონცერტის ორგანიზატორებმა კი იმედი მოგვცეს კიდევ უფრო საინტერესო და ხალხმრავალი შეხვედრებით გაგახარებთო.

„საბას“ კორესპონდენტების შეხვედრა

თბილისში გაიმართა ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოსა და რეგიონალური კორესპონდენტების მორიგი შეხვედრა. მსგავსი შეხვედრები მესამე წელია სისტემატურად იმართება და კორესპონდენტებს წელიწადში ორჯერ საშუალება ეძლევათ, შეხვდნენ, გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება, შთაბეჭდილებები, უშუალოდ რედაქციის საბჭოს წევრებთაგან გაეცნონ ინფორმაციას სამომავლო გეგმების შესახებ, მოისმინონ ლექციები ჟურნალისტიკის საფუძვლების შესახებ, შეხვდნენ ცნობილ ადამიანებს.

ამჯერადაც ტრადიცია არ დარღვეულა და გასული ზაფხულისა და მიმდინარე შემოდგომის პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა თბილისში – საეპისკოპოსო კურიის შენობაში.

შეხვედრა გახსნა ჟურნალის სარედაქციო საბჭოს კორდინატორმა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ. ბათუმიდან, ქუთაისიდან, მესხეთიდან ჩამოსულმა კორესპონდენტებმა თბილისელ კოლეგებთან ერთად ისაუბრეს ჩატარებულ საქმიანობაზე, შეაჯამეს განვლილი პერიოდი, აღნიშნეს ყველა ის ნაკლოვანება, რომელმაც, სამწუხაროდ, კვლავაც არაერთგზის იჩინა თავი. შეგნებულად

აარიდეს თავი წარმატებებზე საუბარს. გამოსვლები ლაკონურობითა და მკაცრი საქმიანი ტონით გამოირჩეოდა. სამწუხარო იყო, რომ შეხვედრა პარასკევს, სამუშაო დღეს ჩატარდა, რის გამოც ყველა კორესპონდენტმა ვერ შეძლო შეხვედრაზე ჩამოსვლა და ამიტომ რეგიონებში არსებული სიტუაციის სრული სურათი ვერ გამოიკვეთა. თუმცა, ზოგადად, ვითარება მაინც დამაკმაყოფილებელია. ერთადერთ მთავარ პრობლემად რეგიონებში ისევ და ისევ „საბას“ დროული გავრცელება რჩება. სამწუხაროდ, მკითხველი დროულად ვერ ეცნობა ჟურნალს.

შეხვედრაზე შეკრებილ კორესპონდენტებთან მოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო საუბრით წარსდგა ცნობილი ქართველი პოეტი, საგამომცემლო საქმიანობის დიდი მესვეური გივი ალხაზიშვილი. ასევე, დიდი ინტერესი და მონაწილეთა ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელის ბექა მინდიაშვილის გამოსვლას. ბ-ნმა ბექამ გააანალიზა ის ვითარება, რაც სუფევს ქვეყანაში რელიგიური აღმსარებლობის შემწყნარებლობის თვალსაზრისით. მან გულწრფელად გასცა პასუხი მრავალრიცხოვან კითხვებს და ბოლოს სიამოვნებით მიიღო „საბას“ რედაქციის წევრის ნუგზარ ბარდაველიძის წინადადება, რომ სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა – ჟურნალი „სოლიდარობა“ სისტემატურად გაეგზავნოს „საბას“ ყოველ კორესპონდენტს, რათა მათ სრული წარმოდგენა ჰქონდეთ ტოლერანტობის კუთხით ქვეყანაში არსებული პრობლემების შესახებ.

დასასრულ, „საბას“ კორეპონდენტებს გადაეცათ ლამაზად გაფორმებული პირადობის მოწმობები.

„საბას“ კორესპონდენტების მომავალი შეხვედრა უკვე მომავალ 2008 წელს, სავარაუდოდ გაზაფხულზე გაიმართება.

რუბრიკა მოამზადა
ნუგზარ ბარდაველიძემ

ჟენია დურგლიშვილი

*** 31 იანვარი 1935 წ. ახალციხე**
† 29 სექტემბერი, 2007 წ. ახალციხე

პავლე ბალიაშვილი
*** 12 თებერვალი, 1929 წ. ასპინძის რ-ნი, სოფ. ხიზაბავრა**
† 13 ოქტომბერი, 2007 წ. ხიზაბავრა

სარჩევი

რედაქციის გვერდი
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში
კათოლიკე ეკლესია საქართველოში
“კარიტასის” პროექტები
საუბარი ეპისკოპოსთან
ეკუმენური გვერდი
ინტერვიუ
ინფორმაცია

საგანგებო ჩანართი:
ქრისტიანული სიმბოლოები

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2007

ქრისტიანული სიმბოლოები

საგანგებო ჩანართი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბა“, 2007, № 10)

პირველ ქრისტიანთა ხელოვნება უნდა განვსაზღვროთ, როგორც ლიტურგიკული და დოგმატიკური, როგორც ჭეშმარიტი სულიერი ხელმძღვანელობა და, რასაკვირველია, არ შეიძლება სერიოზულად აღვიქვათ, რომ ამ ხელოვნებას არ ჰქონდა ეკლესიაში არანაირი მნიშვნელობა მესამე საუკუნემდე, რომ საეკლესიო იერარქია მას საერთოს არ ამჩნევდა. სწორედ რომ პირიქით იყო: ამ ხელოვნებაში იგრძნობოდა ხელმძღვანელობა ეკლესიის მხრიდან და მკაცრი კონტროლი მხატვრების ქმნილებებზე. არაფერი რჩებოდა მხატვრის შეხედულებისათვის, ყველაფერი კონცენტრირებული იყო საეკლესიო სწავლებაზე. ეკლესია პირველი ნაბიჯებისთანავე იმუშავებდა თავის მხატვრულ ენას, რომელიც გამოხატავდა იმ ჭეშმარიტებას, რასაც მისი სიტყვიერი ენა. ეს ენა, როგორც ეკლესიის სწავლების საღმრთისმეტყველო სწავლება, ისტორიულ პირობებში უფრო ზუსტდებოდა, ფართოვდებოდა და სრულყოფილებას იძენდა.

რომაული კატაკომბების ხელოვნებაში ჩანს არა მხოლოდ ძიორითადი პრინციპები საეკლესიო ხელოვნებისა, არამედ საერთო შტრიხებიც მისი გამოვლენისა. ამ ხელოვნების მიზანი ყოველდღიური ცხოვრების გამოხატვას კი არა, მის გააზრებაშია, არა იმაში, რომ გამოხატოს მისი პრობლემატიკა, არამედ იმაში, რომ ამ პრობლემებზე მოგვცეს სახარებისეული პასუხი. კატაკომბებში ვერ შევხვდებით ყოფითი ან ფსიქოლოგიური შინაარსის გამოსახულებას. ამიტომ ამ ხელოვნებით ქრისტიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე წარმოდგენას ვერ შევიქმნით. მაგალითად, ნერონისა და დიოკლეტიანეს დროს მცხოვრებ ქრისტიანებს არ შეეძლოთ არ ენახათ წამების სცენები ამფითეატრებში – ქრისტიანების გმირობები, რომლებიც იყვნენ დიდება და ნუგეში მთელი ეკლესიისათვის. ბუნებრივი იქნებოდა ამ გმირობების უკვდავყოფა კატაკომბებში. მაგრამ იქ არც ერთი ასეთი სცენა არ არის აღმოჩენილი. მოციქული პავლე

მხოლოდ ერთხელ და ისიც გაკვრით ახსენებს თავის წამებას (2 კორ. 11, 23-27). ჩვენამდე მოღწეულია ლიონელი წამებულების წერილი 177 წელს ციხეში დაწერილი. ისინი ინტერესდებიან ეკლესიის ცხოვრებით და ერესებთან ბრძოლის საქმით. თან არც ერთი სიტყვით არ ახსენებენ მათ მიერ გადატანილ ტანჯვას. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ამას ვერ ვხედავთ გამოსახულებებში. მხოლოდ მოგვიანებით, როცა დევნა შეწყდა და წამებულობა ჩვეულებრივ მოვლენას აღარ წარმოადგენდა, ხანდახან გამოსახავდნენ წამების სცენებს.

მაგრამ ეს ხელოვნება მაინც არ იყო მოწყვეტილი ცხოვრებას. იგი არა მხოლოდ ამ დროის ენაზე ლაპარაკობს, არამედ მჭიდროს არის დაკავშირებული სწორედ ამ ეპოქასთან და მისთვის დამახასიათებელ კითხვებს სცემს პასუხს. ის აჩვენებს გამოსახული ადამიანების ლოცვით მდგომარეობას, მათ წარდგომას ღმრთის წინაშე ყველაზე განსხვავებულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ძირითადად ეს გამოიხატებოდა ორანტის ჟესტით. რომაულ კატაკომბებში გვხვდება მრავალი ორანტა, როგორც ლოცვის ან მლოცველი ეკლესიის გამოსახულება და მათი საშუალებით გადმოცემული ლოცვითი მდგომარეობა ხდება ძირითადი შინაარსი სხვადასხვა სიუჟეტებისა, ზოგჯერ უკიდურესად დრამატულის, მაგალითად, აბრაამის მსხვერპლშეწირვა. გამოსახულება გადმოგვცემს არა იმდენად სიტუაციის დრამატიზმს, რამდენადაც მონაწილეთა შინაგან სულიერ მდგომარეობას, მათ ლოცვას. განსაკუთრებით კარგად არის ეს გადმოცემული – დანიელი ლომის ხახაში – გამოსახულებით. ამგვარად, ქრისტიანს, რომელიც იმ დროს ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყო რწმენის გამო წამებით სიკვდილისათვის, ყოველთვის თვალწინ ჰქონდა ის შინაგანი წარდგომა ღმრთის წინაშე, რაც ყოველგვარ გარემოებაში უნდა შეენარჩუნებინა. ნაჩვენები იყო ის, რაც უკვდავყოფდა და ამტკიცებდა სულს და არა ის, რაც აშინებდა და განაგდებდა. ამასთან მსგავსი გამოსახულებები გამოხატავდნენ სწავლებას ხსნაზე: დანიელი გადაურჩა ლომებს, ნოე წარღვნას და ა. შ. და ეს იყო მინიშნება ჩვენს ხსნაზე. ამას გარდა ნაჩვენები იყო შრომა და ლოცვა, მისი განმწმენდელი მნიშვნელობით; ამასთან, ნაჩვენები იყო არა რომელიმე ეპიზოდი ადამიანური მოქმედებისა, არამედ შრომა, როგორც ასეთი, მეზღვაურისა, რომელიც გემზე ამფორებს ტვირთავს; მტვირთავებისა, რომლებიც გადმოტვირთავენ გემს; მეეტლესი, მეფუნთუშესი და ა. შ.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ქრისტიანული ხელოვნებისა, რომელიც პირველივე საუკუნეებში გამოვლინდება არის ის, რომ სახე დაიყვანება მინიმალურ დეტალებამდე, რომელთაც მაქსიმალური გამომსახველობა გააჩნიათ. ეს ლაკონიზმი და სიძუნწე გამოსახვის საშუალებებში შეესაბამებოდა სახარებისეული გადმოცემების ლაკონურ, თავშეკავებულ ხასიათს, ისევე, როგორც წმიდა სახე გვიჩვენებს მხოლოდ ძირითადს. იქაც და აქაც დაიშვებიან მხოლოდ ის დეტალები, რომლებიც ხაზს უსვამენ მომხდარის აზრს და მნიშვნელობას. ყველა ხაზს მივყავართ მართლმადიდებლური ხატის კლასიკურ ფორმამდე. უკვე ამ დროიდან მხატვრებმა დაიწყეს მისვლა იმ უმაღლეს უბრალოებამდე, რომლის შინაარსის სიღრმე მიიღწევა მხოლოდ სულიერი მზერით. მხატვარი რჩებოდა ანონიმად (ხელოვნების ნაწარმოები ყოველთვის ხელმოუწერელი რჩებოდა), მთელი მისი ძალისხმევა მიმართული იყო გადმოცემის გამოხატვაზე. მას უარი უნდა ეთქვა ესთეტიკურ სიამოვნებაზე და უნდა გამოეყენებინა ხილული სამყაროს მთელი სილამაზე ზეციურის გამოსახატავად. მისი ენა უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით ზუსტი და ნათელი. იმისავის, რომ წარედგინათ სხეულებრივი თავლებისათვის სულიერი სამყარო, საჭიროა არა ბუნდოვანი სახეები, არამედ ზუსტი და ნათელი იმის მსგავსად, როგორც წმიდა მამები სულიერ სამყაროზე საუბრისას გამოიყენებენ განსაკუთრებულ ნათელ და ზუსტ გამოთქმებს.

ქრისტიანი მხატვრები თანდათან უარს ამბობენ სივრცის ნატურალისტურ გადმოცემაზე, რომელიც იმ დროის კატაკომბებში დიდი გამომსახველობით იყო გადმოცემული. მათი ნაწარმოებებიდან ქრება ჩრდილები. იმის მაგივრად, რომ გამოესახათ სცენა, რომელსაც მაყურებელი მხოლოდ შორიდან უყურებს, ეს ხელოვნება გამოსახავს სახეებს, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო აზრით, დაკავშირებულია მაყურებელთან, რომლისკენაც ისინი თითქმის ყოველთვის მობრუნებულები არიან, თითქოსდა მიმართავენ მას და აუწყებენ თავის ლოცვით მდგომარეობას. ძირითადად აქ არის არა მხოლოდ ურთიერთქმედება გამოსახული პირებისა, არამედ მიმართება მაყურებელთან.

ამ ადრეული ქრისტიანული ხელოვნების სილამაზე მდგომარეობს ძირითადად მის მდიდარ შესაძლებლობებში; იგი ვერ გადმოგვცემს თავისი აზრის მთელ სისრულეს, მხოლოდ გვპირდება უსაზღვრო შესაძლებლობებს მომავალში.

კატაკომბების ფრესკების საერთო ხასიათი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხატები საკუთარი აზრით, ანუ „სალოცავი“ სახეები, იწერებოდა იმავე პრინციპით და მათში, როგორც ფრესკებში, ეკლესია არა მხოლოდ გადმოსცემდა ამა თუ იმ მოვლენის ან პირის ისტორიულ ხაზებს, არამედ ამტკიცებდა ცნობილ სიმბოლურ ნიშნებს, რათა გამოეხატა ის სულიერი რეალობა, რომელიც მდგომარეობდა მოცემულ მოვლენაში ან პირში. კატაკომბებში „სალოცავი“ ხატების არსებობა არ არის უბრალო ვარაუდი. რომაულ კატაკომბებში საქმე გვაქვს პირველქრისტიანული ხელოვნების მხოლოდ ერთ შტოსთან – ბერძნულ-რომაულთან, რომელიც კარგადაა შემონახული. იმ დროის ბერძნულ-რომაული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ნატურალიზმი. მისი ტექნიკა სრულყოფილებით გამოირჩეოდა. ეს ტექნიკა მთლიანად გადმოიღეს კატაკომბების მხატვრებმა, ამიტომ I-II საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება გამოირჩეოდა იმავე სიხალისით და უშუალობით, იმავე მშვენიერებითა და სიფაქიზით, როგორითაც ანტიკური ხელოვნება, მაგრამ უკვე II საუკუნიდან ტექნიკა იცვლება, მუშავდება ხერხები, რომლებიც ახლოს იყო ხატწერის ხერხებთან.

ბერძნულ-რომაულ შტოსთან ერთად ხელოვნებაში არსებობდნენ სხვებიც. აღმოსავლური ხელოვნების დამახასიათებელი ნიშნები მთლიანად იქნა გამოყენებული ქრისტიანობის მიერ. აღმოჩენილი ძეგლები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანული საკულტო ხელოვნება უფრო განვითრებული იყო რომის აღმოსავლეთ ნაწილში, ვიდრე დასავლეთში. ყოველ შემთხვევაში, როცა 330 წელს დაარსდა კონსტანტინოპოლი, ქრისტიანულ ხელოვნებას, როგორც რომში, ისე იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში უკვე დიდი ისტორია ჰქონდა.

დავუბრუნდეთ ისევ სიმბოლურ ენას. სიმბოლური ენის მეორე ნაწილი., პირობითი ნიშნები და გამოსახულებები წარმოიშვა არა თავიდანვე, არამედ შემდგომში, როცა მეტნაკლებად მხატვრული გამოსახულებები მიღებული იქნა ქრისტიანობის მიერ. ტავიდან ქრისტიანული ეკლესია არ იყენებდა არავიტარ გამოსახულებას, რადგან მისი წევრები იუდეველები იყვნენ. ისინი შეუწყნარებლად ეკიდებოდნენ ყოველგვარ გამოსახულებას, განსაკუთრებით კი – ადამიანისას. იუდაური ელემენტის ეს გავლენა დროთა განმავლობაში გაქრა, როცა ისინი დაშორდნენ მოსეს კანონებს და მათ რიგებში იმრავლა სხვა ხალხებიდან მოქცეულმა ქრისტიანებმა.

სახარებაში გვხვდება მხოლოდ მინიშნება ახალ და ძველ აღთქმას სორის განსხვავებაზე. მოციქულები ცოტას საუბრობენ ამ თემაზე, მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებშია ამაზე ნათქვამი. მაგრამ იუდაური გადმოცემა მაინც დასუსტდა წარმართობიდან მოქცეულთა გავლენით. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ იუდეველი ქრისტიანები ემიჯნებოდნენ წარმართ-ქრისტიანებს. ასე რომ,

წარმოიშვა ქრისტიანული საზოგადოების ორი მხარე. ეს გაყოფა ეკლესიაში საკმაოდ დიდხანს შენარჩუნდა (424 წლის მოზაიკაში ნათლად ჩანს ეს გაყოფა: რომში წმიდა საბინას ტაძარში განსახიერებულია eklesia ex circumcisine (წინადაცვეთის ეკლესია) და eklesia ex gentibus (წარმართთა ეკლესია). ორივე ეკლესია წარმოდგენილია ქალის სახით ხელში წიგნით. მათ ერთნაირი მუქი სამოსი აცვიათ და მსგავსი სახის ნაკვთები აქვთ, მაგრამ მაინც ცალკ-ცალკე დგანან, გრძელი წარწერის თავში და ბოლოში. ერთთან გამოსახულია მოციქული პეტრე, მეორესთან – მოციქული პავლე).

მეხუთე საუკუნეში ჯერ კიდევ იყო ეს განსხვავება, იუდეველები ისევ მიჯაჭვულნი იყვნენ თავის ძველ გადმოცემებზე. აქედან გამომდინარე, არსებობდა ორი განსხვავებული წარმოდგენა მხატვრობაზე: ერთნი არ უშვებდნენ არავითარ გამოსახულებებს, მეორენი კი მას საკმაოდ ლმობიერად ეკიდებოდნენ.

ებრაელი ქრისტიანების დამოკიდებულება მხატვრობისადმი მათი აღზრდის შედეგი იყო, რომელსაც სინაგოგის ძლიერი პოზიცია ამაგრებდა. ებრაელები მრავლდა იყვნენ ყველა ქვეყანაში. ვაჭრობის მეშვეობით მათ მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ქრისტიანებთან და მათში აღვიძებდნენ ძველ დამოკიდებულებას ხელოვნებისა და მხატვრობისადმი. ამ გავლენას ემატებოდა ზოგიერთი სექტის წარმოშობაც. მაგალითად მონტანისტები ნამდვილ იუდეველებზე მეტი უკიდურესობებით გამოირჩეოდნენ. ისინი ყოველ გამოსახულებაში მხატვრისაგან კერპთაყვანისცემას ხედავდნენ, ხოლო ყოველ ნახატში – რწმენის სიწმინდის შერყვნას. ასეთი შეუწყნარებლობის მთავარი წარმომადგენელი იყო მეორე საუკუნეში მოღვაწე კარტაგენის მკვიდრი ტერტულიანე. მან მეორე საუკუნის ბოლოს სახალხოდ გამოაცხადა თავი მონტანისტად და დაწერა თხზულება კერპთაყვანისცემისა და ჰემოგენეს წინააღმდეგ. მასში კარგად ჩანდა ტერტულიანეს უკიდურესი სიძულვილი მხატვრობისადმი. ის მოითხოვდა ხელოვნების თითქმის მთლიანად განადგურებას, იმ მიზეზით, რომ წარმართობიდან ახლადმოქცეული ქრისტიანები ძველი ჩვეულების მსგავსად, არ მიბრუნებოდნენ მემკვიდრეობით დატოვებულ შეცდომებს. მისი აზრით, ხელოვანები ნივთების გამოსახვით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ და არავითარ შემთხვევაში არ გამოესახათ ადამიანი. ხელოვნებაზე ასეთი შეხედულების განვითარებით ტერტულიანე ამტკიცებს, რომ ღმრთის გამოსახვა უდრის მის თაყვანისცემას, ასე რომ, ყოველი მხატვარი ტანაბრად შეურაცხყოფს ღმერთს. აქედან გამომდინარე, ის ფიქრობს, რომ ხელოვნება უბრალო ხელობად უნდა გადაიქცეს და რომ ეს უკეთესი იქნება თვით ხელოვანთათვის. ტერტულიანე ქრისტიანებს განსაკუთრებით კეთილი მწყემსის გამოსახულებას საყვედურობდა. თუმცა ასეთი შეხედულება ანთროპომორფულ გამოსახულებებზე მხოლოდ მას არ ეკუთვნის. წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელი ჩამოთვლის ქრისტიანებისათვის დასაშვებ გამოსახულებებს და ამბობს, რომ მათ არ უნდა გამოსახონ ბეჭდებზე კერპები. ამგვარად, წმიდა კლემენტის აკრძალვიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქრისტიანებისათვის დაშვებული იყო ყოველგვარი გამოსახულება, გარდა ადამიანისა. უფრო მეტიც, ჩანს რომ, ქრისტიანები ამ დრომდეც იყენებდნენ გამოსახულებებს ძეგლებზე და ნივთებზე.

ყველა მაგალითი ამტკიცებს, რომ მიუხედავად ზოგიერთი მწერლის სიმკაცრისა, ქრისტიანული საზოგადოების ნაწილი არ იზიარებდა მათ აზრს და ლმობიერი რჩებოდა ხელოვნებისა და ხალოვანტადმი. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ უშინდებოდნენ თვით ეკლესიის აკრძალვას, ეს ნიშნავს, რომ მათ ყველა თანაბრად მკაცრად არ განიკითხავდა, ზოგიერთი მხარსაც უჭერდა. ყოველ შემთხვევაში, პირველქრისტიანულ საზოგადოებაში მხატვრებისადმი თანაგრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ტერტულიანეს მსგავს მკაცრ მოწინააღმდეგეებს გაუმკლავდა. მაგრამ ამ ბრძოლაში ხელოვნების მომხრეებს

ძალიან ფრთხილად და თანდათანობით უნდა ემოქმედათ, რათა დანარჩენი ქრისტიანებიც დაეყოლიებინათ ხელოვნებას ლმობიერად მოპყრობოდნენ. თავდაპირველად მხატვრები შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ საგნების მონახაზებით, რომლებსაც კაწრავდნენ ფილებზე და ღებავდნენ.

ასეთ მოკრძალებულ დასაწყისს არ შეეძლო შეეწუხებინა მეტად მიუნდობელი ქრისტიანებიც კი, თანაც დანარცენი ქრისტიანული საზოგადოება ასეთ მონახაზებში სიმბოლური ენისათვის ახალ საიმედო ელემენტს ხედავდა. ქრისტიანები იმედოვნებდნენ, რომ ასეთი მონახაზებით უფრო უსაფრთხოდ დაიცავდნენ რწმენის საიდულოებებს. იქ, სადაც ფორმულა ან გამოთქმა ზედმეტად გასაგები ხდებოდა, მისი შეცვლა პირობითი გამოსახულებებნით შეიძლებოდა. მე იმასაც ვფიქრობ, რომ გამოსახულებათა გამოყენების აზრი მოვიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქრისტიანები დადგნენ წარწერების ან მონოგრამების ზედმეტად ნათელი აზრის დაფარვის აუცილებლობის წინაშე. ამასთან, არც ერთ წარწერას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ქრისტიანთა მოთხოვნები, თანაც მათი უმრავლესობა დაბადებული იყო აღმოსავლეთში და ბავშვობიდანვე მიჩვეული იყო სურათებიან გამოსახულებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა აღმოსავლელს ერჩივნა გამოეხატა თავისი აზრები რაიმე საგნის მეშვეობით.

მიუხედავად მხატვრული გამოსახულების შეზღუდულობისა, ქრისტიანული საკრებულო მაინც დიდხანს არ გამოიყენებდა მათ. ამის დასტურია ის, რომ უძველეს წარწერებში არ გვხვდება გამოსახულებები. ჩვენამდე მოღწეული პირველი გამოსახულება არის მეორე საუკუნის სელუნის წარწერაზე ამოკაწრული თევზი. ასეთი ნაკაწრები8 ქრისტიანულ ძეგლებზე მხოლოდ მიგვანიშნებენ ხელოვნებაზე, რომელიც გავრცელდა მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ. ხელოვნების მოწინააღმდეგეთა რიცხვი შემცირდა, ხოლო მათი გავლენა შესუსტდა.

ქრისტიანულმა ეკლესიამ დაუშვა სიმბოლური ენის დამატებად სიმბოლური გამოსახულებები. საჭირო გახდა ამ გამოსახულებებისათვის ნიმუშების მოძებნა ან ახლად შექმნა. წარმართულმა სამყარომ დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანთა არჩევანზე. თუ ქრისტიანები თავის ნაწერებში იყენებდნენ ვირგილიუსს, იუბენალს და სხვა წარმართ მწერლებს თუ შემდგომში თვით ელინელი ბრძენების გამოსახვა დაიწყეს იკონოგრაფიულად. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქრისტიანობამ გამოიყენა ძველი მსოფლიოს სიმბოლური გამოსახულებანი.

ქრისტიანებისათვის მოსახერხებელი იყო ძველი სამყაროს სიმბოლური გამოსახულებების გამოყენება, რადგან მათ სჭირდებოდათ ასეთი მასალა და იმასაც აღიატებდნენ, რომ მისი შექმნა სწრაფად შეუძლებელი იყო. საუკუნეები სჭირდებოდა ახალი სიმბოლოების ჩამოყალიბებას, სიმბოლური ენა კი სასწრაფოდ მოითხოვდა პირობით ნიშნებს წარმართების წინააღმდეგ.

სიმბოლური გამოსახულებები, როგორც უკვე ვთქვით, ძირითადად წარმართობიდან მოდის. წარმართი მწერლების ნაწარმოებებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქრისტიანული სიმბოლური ენის შექმნაში. თავდაპირველი სიმბოლოების რაოდენობა გაცილებით მცირე იყო, ვიდრე დასესხებული ფორმულების. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანებმა მხოლოდ ის გამოსახულებები დაისესხეს, რომლებიც უკვე თითქოსდა განწმენდილნი იყვნენ ქრისტიანი მწერლების მიერ. ქრისტიანულ მწერლებზე არ გვხვდება არც ერთი გამოსახულება, რომელიც არ მოიხსენიება ქრისტიან მწერლებთან.

სიმბოლური გამოსახულებების არჩევისას ქრისტიანები განსაკუთრებით ეყრდნობოდნენ კლიმენტი ალექსანდრიელს და მის თანამედროვეებს. იგი ჩამოთვლის ქრისტიანებისათვის დასაშვებ სიმბოლოებს, ესენი არიან: თევზი, მტრედი, გემი, ლირა და ღუზა. სხვაგან ამბობს, რომ მის დროს არსებობდა

ბეჭდები გაუმართლებელი გამოსახულებებით. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სიმბოლური გამოსახულებების არჩევისას ხელოვანები ხანდახან არ ითვალისწინებდნენ ეკლესიის მამების აზრს. ისინი არ ერიდებოდნენ წარმართულ ხელოვნებასა და მითოლოგიას, გამოსახავდნენ ბეჭდებზე ღმერთებს, ომის ქალღმერთის ისრებსა და ხმალს, ვაკხის თასს. ასეთი სიმბოლოები მიუღებელია წმ. კლიმენტისათვის. მათ ნაცვლად იგი ქრისტიანებს ისეთი სიმბოლოების მიღებას ურჩევს, რომლებიც არ მოგვაგონებენ სისხლისღვრას. წარმართებისაგან დასესხებული სიმბოლოები შეივსო წმიდა წერილის ანდა საეკლესიო მწერლების მიერ მოხსენიებული სიმბოლოებით.

ქრისტიანებმა სიმბოლოთა რიცხვი თანდათან გაზარდეს. თავიდან ისინი მხოლოდ წმიდა კლიმენტის მიერ მოხსენიებულ სიმბოლოებს ანვითარებდნენ და სხვა სიმბოლოთა მიღებას თავს არიდებდნენ. თითოეული სიმბოლო ქრისტიანს ახალ მონაცემებს აწვდის ახალი გამოსახულებისათვის. მაგალითად. მტრედსა და ზეთისხილის ტოტს ერთად სხვა სიმბოლური დატვირთვა აქვს, ცალ-ცალკე კი სხვადასხვა სიმბოლოებს გვაძლევენ. თევზის სიმბოლო მატეს სიტყვებს გვახსენებს: „და უთხრა მათ: გამომყევით და კაცთა მებადურად გაქცევთ“ (მათ. 4, 9), ამიტომ შემოაქვთ ახალი სიმბოლო მეთევზე და თევზჭერის ხელსაწყოები. ქარის მიმართულებით მცურავი გემი ნახატზე მოითხოვდა მიმართულების და ცურვის ამსახველ გამოსახულებებს: ღუზა, აფრა, ნიჩაბი და საჭე. მათ გარდა მიზანი, რომლისკენაც ეს გემი მიცურავს – შუქურა. წმიდა კლიმენტის ამ მთავარ სიმბოლოებს უნდა მიემატოს კიდევ სახარებაში ხაზგასმული და სხვადასვა ჰიმნებში გამოსახვის საშუალებად გამოყენებული სიმბოლოები. ამგვარად, მაცხოვრის სიტყვებმა (იოან. 15, 1-5) გამოიწვიეს ვაზის ლერწის, რტოებისა და მტევნის სიმბოლოები. მათთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თასი და კასრი. იმავე წყაროს მიეკუთვნებიან გამოსახულებები: კეთილი მწყემსი, ლომი, ირემი და მგელი. ქრისტიანებმა ძველი ებრაული საფლავის ფილებიდან დაისესხეს სასანთლეები, ანტიკური მხატვრობიდან – ორფეოსი, მისგამ მიიღეს ლირა, კეთილი მწყემსისაგან – ბატკანი, კვერთხი და სხვა.

ასე იქცეოდნენ პირველი ქრისტიანები სიმბოლოების შეზღუდული რაოდენობის გასაზრდელად. უკვე ცნობილი იეროგლიფებისა და ფორმულების გამოსახატად ახალი ხერხი იყო საჭირო. ეს ხერხი სწორედ გამოსახულებები გახდა. თითქმის ყველა ფორმულას ჰქონდა შესაბამისი გამოსახულება. ამიტომ სიმბოლური გამოსახულებები, ისევე, როგორც სიმბოლური ფორმები, იკრიბებოდნენ იმ საგნების გარშემო, რომლებიც მიეკუთვნებოდა საეკლესიო საგანს.

ანდრია ვაშაკიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)